

მიზნობრივი სოციალური დახმარების
პროგრამა და მისი კავშირი
არჩევნების შედეგებთან საქართველოში



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

**მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა
და მისი კავშირი არჩევნების შედეგებთან
საქართველოში**



კვლევა მოამზადა სოციალური სამართლიანობის ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

კვლევაზე პასუხისმგებელი: სალომე შუბლაძე, მარიამ ჯანიაშვილი
მკვლევარი: რატი შუბლაძე
რედაქტორი: ნინო ბეჭიშვილი
თარგმანი ქართულ ენაზე: ქეთევან სოხაძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რატი შუბლაძე, „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა და მისი კავშირი არჩევნების შედეგებთან საქართველოში“, 2024.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

ძირითადი მიგნებები	6
შესავალი	8
I. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის კონტექსტი	10
1.1. ცალკეული შემთხვევებისა და კვლევების მიმოხილვა	12
1.2. საქართველოს საარჩევნო სისტემის მოკლე მიმოხილვა	15
1.3. საქართველოში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი განვითარების მოკლე მიმოხილვა	17
II. მონაცემთა ანალიზის მიდგომები	20
III. მიგნებები	23
3.1. ცვლილებები დროში: აღწერითი სტატისტიკური შედეგები დროითი სერიების მონაცემებიდან	23
3.1.1. საარსებო შემწეობის მიმღებთა წილის ცვლილება	23
3.1.2. საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე დახარჯული დაფინანსების ოდენობის ცვლილება	27
3.2. არჩევნების შედეგები და სოციალური ტრანსფერების მასშტაბი მუნიციპალიტეტებსა და საარჩევნო ოლქებში	31
3.2.1. მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია და ცვლადების აღწერა	31
3.2.2. საპარლამენტო არჩევნები	33
3.2.3. ადგილობრივი არჩევნები	46
დასკვნა	53
გამოყენებული ლიტერატურა	55
დანართი	57

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობისა და ფინანსური ტრანსფერების მოცულობის ცვალებადობის დინამიკას საარჩევნო პერიოდში. იგი ეფუძნება დროითი სერიების მონაცემებს შინამეურნეობებისა და ინდივიდების წილის შესახებ, რომლებიც იღებდნენ საარსებო შემწეობას 2012 წლიდან 2021 წლამდე. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო სახეზე საარჩევნო წლებში მნიშვნელოვანი ურთიერთმიმართება პროგრამის ბენეფიციარებსა და დაფინანსებას შორის.

1. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ცვლილება დროთა განმავლობაში

მონაცემთა ანალიზი მიუთითებს არჩევნების წლებში, არასაარჩევნო პერიოდებთან შედარებით, საარსებო შემწეობის მიმღებთა მუდმივ პროცენტულად მზარდ ტენდენციაზე. 2016 და 2020 წლები გამოირჩეულია დახმარების მიმღებთა პროპორციის საგრძნობი ზრდით, სხვა, არასაარჩევნო, წლებთან შედარებით. თუმცა, ეს დაკვირვება ითხოვს შემდგომ შესწავლას, რათა გავიგოთ მისი მნიშვნელობა კონკრეტული არჩევნების შედეგებთან მიმართებით.

2. დაფინანსების გამოყოფის ვარიაციები

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის გამოყოფილი დაფინანსება ასევე განსხვავდება საარჩევნო ციკლების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს, საარჩევნო წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა, არასაარჩევნო პერიოდების სამი წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, როგორც 2016, ასევე 2020 წლებში, გამოიკვეთა უფრო მაღალი საშუალო თვიური დანახარჯები. ეს განსაკუთრებით სოფლად შეიმჩნეოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საარსებო შემწეობის მიმღებთა შემადგენლობის ეს ვარიაციები ნაწილობრივ დაკავშირებულია მეთოდოლოგიისა და პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების ცვლილებებთან.

3. საარჩევნო დინამიკის გავლენა

საარჩევნო პერიოდები, განსაკუთრებით, საპარლამენტო არჩევნები, საარსებო შემწეობებზე დანახარჯების მაღალ დონესთან მჭიდრო კორელაციაშია. ანალიზის თანახმად, არჩევნების დროს, სადაც მაღალი პოლიტიკური კონკურენციაა, როგორც ბენეფიციართა, ასევე ფულადი ტრანსფერების ოდენობა, როგორც წესი, იზრდება. აღნიშნული, შესაძლოა, მიუთითებდეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე სტრატეგიული სოციალური პოლიტიკის გავლენაზე.

4. რეგრესიული ანალიზის სტატისტიკური მიგნებები

ზოგიერთი არჩევნების შემთხვევაში, რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს მნიშვნელოვან, თუმცა, ნიუანსურ, კავშირს არჩევნების შედეგებსა და საარსებო შემწეობის დანიშნვა-გაცემას შორის. სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი, ხშირ შემთხვევაში, კორელაციაშია საარსებო შემწეობაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების ზრდასა და ბენეფიციარების რაოდენობასთან, თუმცა

ეს დამოკიდებულება, მიმართების კომპლექსურობითა და კონტექსტით, განსხვავდება სხვადასხვა საარჩევნო წლისა და ტიპის მიხედვით. ურთიერთმიმართება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში. ზოგჯერ, პოლიტიკურად დაძაბულ და მაღალკონკურენტულ მუნიციპალურ არჩევნებში, მაღალი კონკურენციის მქონე საარჩევნო ოლქები ასევე შედარებით მეტ სოციალურ რესურსს იზიდავენ. თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ეს მიმართება არ არის უნივერსალური და საჭიროა უფრო დეტალური კვლევა ამ მიგნებების დასადასტურებლად. ხშირ შემთხვევაში, ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც მკაფიოდ უჭერენ მხარს სამთავრობო პარტიას, უფრო მაღალი მოცულობით იღებენ სოციალურ დაფინანსებას. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, აღნიშნული ურთიერთმიმართება არ დასტურდება და ზეგავლენის მომხდენი მხოლოდ გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორებია.

5. გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორების გავლენა

სოციალურ-გეოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა ეთნიკური შემადგენლობა, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიმჭიდროვე და გეოგრაფიული მახასიათებლები, მაგალითად, ზღვის დონიდან მდებარეობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საარჩევნო წლებში სოციალური პროგრამების რესურსების განაწილებაში. რეგიონები, სადაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის წილი უფრო მაღალია და ურბანიზაციის დონე დაბალია, როგორც წესი, უპირატესობას სამთავრობო მმართველ პარტიას ანიჭებენ და იღებენ უფრო დიდ ფინანსურ მხარდაჭერას. მონაცემთა ანალიზი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში, რომლებიც მხარს უჭერენ მმართველ პარტიას, ადამიანები ნაკლებ სოციალურ დახმარებას იღებენ, როგორც ფულადი თვალსაზრისით, ასევე ბენეფიციართა რაოდენობის მიხედვით. ეს წინააღმდეგობრივი მონაცემი ამცირებს ეროვნულ დონეზე სოციალური ხარჯების ზოგადი გავლენის მაჩვენებლებს.

წარმოდგენილი დასკვნები ხაზს უსვამს საარჩევნო პროცესების, სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური მდგომარეობის ურთიერთკავშირს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ციკლები მუდმივად ახდენს გავლენას საარსებო შემწეობების განაწილებასა და მასთან დაკავშირებულ დაფინანსებაზე, სოციალური-გეოგრაფიული ფაქტორებიც მნიშვნელოვნად აისახება შედეგებზე. ამ დინამიკის გაგება მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, რომლებიც, საარჩევნო ციკლების განმავლობაში, მიზნად ისახავენ რესურსების განაწილების ოპტიმიზაციასა და მონყვლად მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის ეფექტიან მხარდაჭერას.

შესავალი

წინამდებარე კვლევა აფასებს საქართველოში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამისა და სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის დონესა და ინტენსივობას. კვლევის მიზანია, სტატისტიკურად დადგინდეს, ხდებოდა თუ არა სამთავრობო პარტიის მიერ სოციალური ხარჯებით მანიპულირება საარჩევნო პროცესების დროს, რითაც უთანასწორო პოლიტიკური და საარჩევნო კონკურენციის პირობები იქმნებოდა. ლათინური ამერიკის,¹ აფრიკისა² და სხვა განვითარებადი ქვეყნების³ ემპირიული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ სამთავრობო პარტიები ხშირად პოლიტიკური მიზნით იყენებენ სოციალური დახმარების პროგრამებს ამომრჩეველთა მობილიზაციისთვის. კვლევით დგინდება, რომ საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს,⁴ და არსებობს სოციალური ხარჯების განვითარების შემთხვევები, რომელიც საარჩევნო მიზნებითაა მოტივირებული.⁵

სოციალური დახმარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში პოლიტიკოსები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ, რათა გავლენა მოახდინონ ამომრჩეველთა ქცევაზე და უზრუნველყონ არჩევნებზე მათგან მხარდაჭერა. თეორიული მასალა და მტკიცებულებები მიუთითებს სტრატეგიების მრავალფეროვნებაზე, რომლებსაც პოლიტიკოსები, განსაკუთრებით, სამთავრობო პარტიის ლიდერები, მიმართავენ. ამ სტრატეგიებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება:

- რესურსების მიზნობრივი განაწილება: სამთავრობო პარტიამ, შესაძლოა, შერჩევითად მიმართოს სოციალური რესურსები კონკრეტულ დემოგრაფიულ ჯგუფებზე ან რეგიონებზე, რითაც ახალისებს ამ ჯგუფების მხრიდან მხარდაჭერას და ზრდის წარმატების შანსს არჩევნებზე;
- სოციალური მხარდაჭერის განვითარების დრო: სოციალური დახმარების ან ფინანსური რესურსების გაცემის დრო, შესაძლოა, დაემთხვეს არჩევნებს, რათა შეიქმნას პოზიტიური აღქმა სამთავრობო პარტიის ან კანდიდატის მიმართ. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვებას;
- პოლიტიკური მფარველობა: პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ, გამოიყენონ სოციალური კეთილდღეობის პროგრამები ლოიალური მხარდამჭერების დასაჭილდოებლად, ფაქტობრივად შექმნან პატრონაჟის სისტემა, რომელშიც პოლიტიკური ლოიალობა დაჭილდოვდება მთავრობისგან სარგებლის გაზრდით;
- პროპაგანდა, კომუნიკაცია და მესიჯბოქსი: პოლიტიკურმა აქტორებმა, შესაძლოა, სოციალური დახმარების პროგრამები გამოიყენონ, რათა მიზნობრივი ჯგუფები დაარწმუნონ, რომ ისინი პირადად არიან პასუხისმგებელი ამ პროგრამების არსებობაზე, რითაც საარჩევნო პროცესში მოსახლეობის კეთილგანწყობას ზრდიან;
- ამომრჩევლის მოსყიდვა: უკიდურეს შემთხვევებში, თანამდებობის პირებს შეუძლიათ სოციალური სერვისებით პირდაპირ ამომრჩეველთა ხმებზე ვაჭრობა, რითაც მიმართავენ უკანონო და/ან არაეთიკურ პრაქტიკას არჩევნებში გამარჯვებისთვის.

1 Layton, M. L., & Smith, A. E. (2015). Incorporating marginal citizens and voters: the conditional electoral effects of targeted social assistance in Latin America. *Comparative Political Studies*, 48(7), 854-881.

2 Graham, V., Sadie, Y., & Patel, L. (2016). Social grants, food parcels and voting behaviour: a case study of three South African communities. *Transformation: Critical Perspectives on Southern Africa*, 91(1), 106-135.

3 Zucco, C. (2011). Conditional cash transfers and voting behavior: Redistribution and clientelism in developing democracies. Unpublished manuscript. Princeton University.

4 <https://cutt.ly/keUrFwRW>.

5 <https://cutt.ly/XeWT5h1r>.

სოციალური დახმარების პროგრამების გამოყენება საარჩევნო მანიპულაციის ტაქტიკაში სერიოზულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ მმართველობასა და კანონის უზენაესობას. ასეთმა პრაქტიკამ, შესაძლოა, შეარყიოს საარჩევნო პროცესების სამართლიანობა, გააძლიეროს კორუფცია და მთავრობას არამდგრადი ფისკალური ტვირთი დააკისროს. ამ გამოწვევების დასაძლევად საჭიროა რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური დახმარების პროგრამების სამართლიან და გამჭვირვალე ადმინისტრირებას, ყოველგვარი პოლიტიზების გარეშე.

წინამდებარე კვლევა ცდილობს წარმოაჩინოს, თუ რამდენად აქვს ადგილი საქართველოში არჩევნებისას პოლიტიკურ მანიპულაციებს. მიუხედავად ამისა, კვლევის სფერო შეზღუდულია მონაცემთა და რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც ხელს უშლის უფრო ფართო მიზნგ-შედევობრივი მონაცემების ანალიზს, როგორცაა, მაგალითად, კვაზი-ექსპერიმენტული მეთოდები. ამის გამო, კვლევა ფოკუსირებულია მიზნობრივი საჯარო რესურსებისა და სოციალური დახმარების გაცემის დროით ანალიზზე, და ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ ადმინისტრაციულ მონაცემებს. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებულია კორელაციური და რეგრესიული მეთოდები.

სოციალური პროგრამების პოლიტიკური მიზნებისთვის მანიპულირების ფენომენის სრულყოფილად გამოსაკვლევად, კვლევის პირველი ნაწილი მიმოიხილავს არსებულ ლიტერატურას, რომელიც ეძღვნება პირობიან ფულად ტრანსფერებს, სოციალურ დახმარებასა და არჩევნების შედეგებს შორის კავშირს. მიმოიხილვა გვიჩვენებს მსოფლიოში გავრცელებულ იმ მრავალფეროვან სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება სოციალური და სხვა სამთავრობო პროგრამების პოლიტიკურ მანიპულირებაში. ეს მოიცავს კლიენტელიზმის პოლიტიკური ეკონომიკის ანალიზს, როდესაც სამთავრობო პარტიები განვითარებად დემოკრატიებსა და ავტორიტარულ რეჟიმებში იღებენ პოლიტიკურ მხარდაჭერასა და ლეგიტიმურობას საჯარო სახსრების ან პრივილეგიების სტრატეგიული განაწილების გზით. სოციალური დახმარების პროგრამებში კლიენტელიზმისა და მანიპულაციების მრავალფეროვანი თეორიული მოდელების ანალიზის მეშვეობით, ეს ანგარიში მიზნად ისახავს თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბებას საარჩევნოდ მოტივირებული სოციალური ხარჯების გაღების საკითხების გასააზრებლად.

ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც მიღებულია მეორადი ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენებით, რათა გამოკვლევულიყო პოტენციური კორელაცია სოციალურ დანახარჯებსა და არჩევნების შედეგებს შორის მუნიციპალურ დონეზე. მონაცემები განალიზებულია სხვადასხვა რეგრესიული მოდელის მეშვეობით, სადაც დამოკიდებული ცვლადი წარმოადგენს არჩევნების შედეგებს, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადებია სოციალური დანახარჯები, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული მახასიათებლები. წარმოდგენილი ანალიზი ცდილობს, გამოავლინოს ნებისმიერი ემპირიული კავშირი ცვლადებს შორის, რითაც გაამდიდრებს ცოდნას საარჩევნო დინამიკაზე სოციალური დახმარების პრაქტიკული შედეგების თაობაზე.

1. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის კონტექსტი

პირობიანი ფულადი ტრანსფერები (conditional cash transfers, CCTs) და სოციალური კეთილდღეობის სხვა პროგრამები, სახელმწიფო პენსიები და სხვა საზოგადოებრივი სიკეთეები შეიძლება სტრატეგიულად იქნას გამოყენებული არჩევნების შედეგებზე გავლენის მოსახდენად. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამები, ზოგადად, სიღარიბის შემცირებას ემსახურება, ამ საჭარო ტრანსფერებით ხშირად მანიპულირებენ პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით, როგორცაა ხმების ყიდვა და მფარველობა, განსაკუთრებით, სამთავრობო პარტიების მიერ.

უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ მიზნობრივი სახელმწიფო ხარჯები მოქმედი ხელისუფლებების სასარგებლოდ ხმის მიცემის მაჩვენებლებზე დადებით გავლენას ახდენს. დოკუმენტის წინამდებარე ნაწილი სწორედ ამ კვლევების დეტალურ განხილვას ეთმობა. მაგალითად, სოციალური დაცვის პირობიანი პროგრამების შედეგად, მექსიკასა და ბრაზილიაში გაზრდილია პოლიტიკური ჩართულობა და მხარდაჭერა სამთავრობო პარტიების მიმართ.^{6,7,8} ასევე, არსებული მტკიცებულებების თანახმად, ასეთი ხარჯები ზრდის მოქმედი ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ მხარდაჭერას ტანზანიასა⁹ და ფილიპინებში.¹⁰ გარდა ამისა, იანოშ ბეტკოს და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულმა კვლევამ – „როგორ შეიძლება კეთილდღეობის პოლიტიკამ შეცვალოს ნდობა?“¹¹ შეისწავლა კეთილდღეობის პოლიტიკის გავლენა პოლიტიკურ და სოციალურ ნდობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური დახმარების პროგრამები მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერასა და ნდობას, რაც ადასტურებს ურთიერთმიმართების არგუმენტს. დასკვნის თანახმად, მხოლოდ სამთავრობო პარტიები, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს სოციალური დახმარების პროგრამებს, იღებენ სოციალური დახმარების პროგრამების სამიზნე ჯგუფების მხარდაჭერას. სოციალური პოლიტიკით მოქალაქეთა კმაყოფილება წარმოადგენს ძირითად მექანიზმს, რომელიც დადასტურებულად არის დაკავშირებული ადგილობრივი ხელისუფლებების მიმართ მხარდაჭერასა და ნდობასთან.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დახმარების პროგრამების საშუალებით პოლიტიკური მანიპულირების შესახებ არსებული კვლევების შედეგები არაერთგვაროვანია და ზოგიერთი მათგანი ვერ ადგენს მსგავს კავშირს. მაგალითად, უგანდაში გამოიკვეთა საპირისპირო მიგნება: სიღარიბის დაძლევის პროგრამებმა გაზარდა ოპოზიციისადმი მხარდაჭერა.¹² გვატემალაში სოციალური პოლიტიკის გავლენა სიღარიბის შემცირებაზე არაერთგვაროვანი იყო, რამაც გამოიწვია

6 Diaz-Cayeros, A., Estévez, F., & Magaloni, B. (2016). *The political logic of poverty relief: Electoral strategies and social policy in Mexico*. Cambridge University Press.

7 De La O, A. L. (2013). Do conditional cash transfers affect electoral behavior? Evidence from a randomized experiment in Mexico. *American Journal of Political Science*, 57(1), 1-14

8 Constantino, P. (2021). *The effects of conditional cash transfer programs on voting behaviour in Mexico and Brazil* (Doctoral dissertation, University of Sussex).

9 Evans, D. K., Holtemeyer, B., & Kosec, K. (2019). Cash transfers increase trust in local government. *World Development*, 114, 138-155.

10 Labonne, J. (2013). The local electoral impacts of conditional cash transfers: Evidence from a field experiment. *Journal of development economics*, 104, 73-88.

11 Betkó, J., Spierings, N., Gesthuizen, M., & Scheepers, P. (2022). How welfare policies can change trust—a social experiment assessing the impact of social assistance policy on political and social trust. *Basic Income Studies*, 17(2), 155-187.

12 Blattman, C., Emeriau, M., & Fiala, N. (2018). Do anti-poverty programs sway voters? Experimental evidence from Uganda. *Review of Economics and Statistics*, 100(5), 891-905.

მოქმედი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის არაერთგვაროვნება.¹³ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, მიზნობრივი ფულადი დახმარების პროგრამების შედეგად, შეიძლება შემცირდეს მოქმედი ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერა, აღქმული კორუფციის ან ამ პროგრამების არაეფექტიანობის გამო. მეტიც, ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებული კვლევების თანახმად, მსგავსმა პროგრამებმა შეიძლება აიძულონ მოქმედი ხელისუფლების ყოფილი მხარდამჭერები, ოპოზიციას გამოუცხადონ ნდობა.¹⁴ ლათინური ამერიკის 16 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ პირობიანი ფულადი ტრანსფერების პროგრამები, როგორც ნესი, უარყოფითად არ აისახება ამომრჩეველთა შესაძლებლობაზე, კორუფციისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მმართველი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება მოითხოვონ. მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც პირობიანი ფულადი ტრანსფერების პროგრამები მკაცრად არ არის რეგულირებული, ბენეფიციარები მეტად, თუმცა გარკვეული საზღვრების ფარგლებში, დადებითად აფასებენ ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილ ეკონომიკურ მდგომარეობას.¹⁵

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო მანიპულაციების მიზნით სახელმწიფო ხარჯების გამოყენების ეფექტიანობა და სტრატეგიები განსხვავდება რეგიონისა და პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში არსებული სტრატეგიები განსხვავდება აფრიკასა და აზიაში არსებული სტრატეგიებისგან რეგიონის განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გამო. განსხვავებები შეიძლება გამოიკვეთოს ცალკეული ქვეყნების ფარგლებშიც, სადაც სამთავრობო პარტიები სხვადასხვა მექანიზმითა და სტრატეგიით უდგებიან სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს.

სამთავრობო პარტიების მიერ სოციალური პროგრამებით მანიპულირების შესაძლებლობის გამორჩეული მახასიათებელი არის ეკონომიკური განვითარების დონე, სოციალური უთანასწორობის მასშტაბი და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, 2004 წელს არგენტინაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დაბალი შემოსავლის მქონე არგენტინელები უფრო მეტად იყვნენ პოლიტიკური მანიპულირების სამიზნე, ვიდრე უფრო შეძლებული მოქალაქეები.¹⁶ სიღარიბის, სოციალური კავშირებისა და კლიენტელიზმის თაობაზე ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად,¹⁷ სოციალური დახმარების საშუალებით ღარიბი მოსახლეობა შეიძლება წარმოადგენდეს მარტივ სამიზნე ჯგუფს პოლიტიკური მანიპულაციის განსახორციელებლად. ამავედროულად, კვლევამ აჩვენა, რომ ის ფაქტორები, რომლებიც ამცირებს ოჯახების ეკონომიკურ და სოციალურ მონყვლადობას, როგორცაა, შედარებით დიდი სოციალური კაპიტალი და კავშირები, ასევე ზღუდავს საარჩევნოდ მოსყიდვის შესაძლებლობას. მართლაც, სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ მონყვლადობის შემცირებას შეუძლია, წარმატებით ებრძოლოს კლიენტელიზმს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, მოქალაქეები ნაკლებად დამოკიდებულები არიან ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსებზე.¹⁸ მტკიცებულებების თანახმად, როგორც ამას ფილიპინებში ჩატარებული კვლევა

13 Sandberg, J., & Tally, E. (2015). Politicisation of conditional cash transfers: the case of Guatemala. *Development Policy Review*, 33(4), 503-522.

14 Corrêa, D. S., & Cheibub, J. A. (2016). The anti-incumbent effects of conditional cash transfer programs. *Latin American Politics and Society*, 58(1), 49-71.

15 Pavão, N. (2016). Conditional cash transfer programs and electoral accountability: Evidence from Latin America. *Latin American Politics and Society*, 58(2), 74-99.

16 Brusco, V., Nazareno, M., & Stokes, S. C. (2004). Vote buying in Argentina. *Latin American research review*, 39(2), 66-88.

17 Ravanilla, N., & Hicken, A. (2023). Poverty, social networks, and clientelism. *World Development*, 162, 106128.

18 Bobonis, G. J., Gertler, P. J., Gonzalez-Navarro, M., & Nichter, S. (2022). Vulnerability and clientelism. *American Economic Review*, 112(11), 3627-3659.

გვთავაზობს,¹⁹ ფართო, უნივერსალური სოციალური დაცვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას და არ ექვემდებარება ადგილობრივ ან რეგიონულ არაერთგვაროვნებას, კლიენტელიზმის შესამცირებლად და პოლიტიკური მანიპულაციის გარეშე მონყვლადი მოსახლეობის მხარდასაჭერად შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს.

წარმოდგენილი მიგნებები მიუთითებს, რომ სოციალურ პროგრამებს შეუძლია სიღარიბის შემსუბუქება ისე, რომ ამომრჩევლებმა არ დაკარგონ მოტივაცია, რომ მთავრობებს პასუხისმგებლობა დააკისრონ და ანგარიშვალდებულება მოსთხოვონ. თუმცა, მტკიცებულებები ასევე ადასტურებს, რომ მთელ მსოფლიოში ხელისუფალნი ფართოდ და რეგულარულად მანიპულირებენ სოციალური დახმარების პროგრამებით. უფრო ეფექტიანი და სამართლიანი პოლიტიკოსების მიზანი უნდა იყოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის ისეთი პროგრამების შემუშავება, რომელიც არ აისახება საარჩევნო პროცესზე.

1.1. ცალკეული შემთხვევებისა და კვლევების მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევები სოციალურ დანახარებებზე, განსაკუთრებით, პირობიან ფულად ტრანსფერებზე, ფარავს მრავალ ქვეყანას და მოიცავს სხვადასხვა თემატიკას. თუმცა, წინამდებარე ანგარიშის მთავარი აქცენტი გაკეთებულია მთავრობის მიზნობრივ ფულად ტრანსფერებსა და პოლიტიკურ მხარდაჭერას შორის ურთიერთკავშირზე. სწორედ ამიტომ, ამ მიზნისთვის შეირჩა და დეტალურად გაანალიზდა კვლევები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საკვლევ თემასთან და ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მსგავსი ქვეყნების კონტექსტებზე – ფართობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების პირობების მიხედვით. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასეთი შედარებები გარკვეულ შემზღუდვებთანაა დაკავშირებული, რაც ართულებს იდენტური შემთხვევების პოვნასა და ზუსტი შედარების გაკეთებას.

ურუგვაიში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ შეაფასა სიღარიბის საწინააღმდეგო ფულადი დახმარების პროგრამა (PANES – Plan de Atención Nacional a la Emergencia Social),²⁰ რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში ურუგვაის კრიზისის პერიოდში ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა. პროგრამა მიზნად ისახავდა სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის მხარდაჭერას და მისი ეფექტიანობის შეფასება განხორციელდა იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავდა პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას. კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამის ბენეფიციარ შინამეურნეობებს მთავრობის მიმართ 11%-დან 13%-მდე უფრო მაღალი მხარდაჭერა ჰქონდათ, ვიდრე იმ შინამეურნეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს. უფრო მეტიც, ეს ტენდენცია პროგრამის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა, რაც მიუთითებს პოლიტიკურ პრეფერენციებზე მის ხანგრძლივ გავლენაზე. ეს დასკვნები თანხვედრაშია იმ თეორიებთან, რომლებიც ვარაუდობს, რომ ამომრჩევლები ანგარიშვალდებულებას უდასტურებენ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მათ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ მიმდინარე და მომავალი პროგრამებით. ამასთან, ეს მიანიშნებს იმაზეც, რომ ბენეფიციარებს, შესაძლოა, ჰქონდეთ იმედი, რომ მათ მიერ მიღებული სარგებელი ნიშნავს ხელისუფლების გრძელვადიან ერთგულებას მათი მხარდაჭერის მიმართ და

19 Swamy, A. R. (2016). Can social protection weaken clientelism? Considering conditional cash transfers as political reform in the Philippines. *Journal of Current Southeast Asian Affairs*, 35(1), 59-90.

20 Manacorda, M., Miguel, E., & Vigorito, A. (2011). Government transfers and political support. *American Economic Journal: Applied Economics*, 3(3), 1-28.

არა მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით განპირობებულ, დროებით ქმედებებს, რომლებიც, შესაძლოა, არჩევნების შემდეგ აღარ გაგრძელდეს. სოციალური პროგრამების პოლიტიკური ეფექტების წარმოდგენილი მტკიცებულებები საქართველოსთან მიმართებით აქტუალურია, რადგან ურუგვაი ასევე არის საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანა ძლიერი დემოკრატიული ტრადიციებით და რომელიც, როგორც კვლევით დგინდება, მაინც ექვემდებარება პოლიტიკური მიზნებისთვის სოციალური პროგრამების გამოყენებას.

კამაჩოსა და კონვერის მიერ ჩატარებული კიდევ ერთი კვლევა აფასებს სოციალური მხარდაჭერის მიღების კრიტერიუმებით მანიპულირებას, როგორც არათანაბარი უპირატესობის მოპოვების ფაქტორს არჩევნების კონტექსტში.²¹ კოლუმბიის შემთხვევაში, კვლევა აჩვენებს, როგორ იყენებს ხელისუფლება სოციალური კეთილდღეობის პროგრამებს საარჩევნო მხარდაჭერის მოსაპოვებლად დროთა განმავლობაში. ადგილობრივი პოლიტიკოსები სტრატეგიულად იწყებენ ახალ სოციალურ პროგრამებს არჩევნებამდე, განსაკუთრებით, კონკურენტულ საარჩევნო გარემოში, რათა გააუმჯობესონ თავიანთი საარჩევნო პერსპექტივები. კვლევა კონკრეტულად აჩვენებს, რომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში მანიპულირების დონე დაკავშირებულია პოლიტიკური კონკურენციის ხარისხთან. ეს ასპექტი მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული სიტუაციის აღსაქმელად, რადგან ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, როგორ შეუძლია ძლიერ პოლიტიკურ კონკურენციას გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ იყენებს სამთავრობო პარტია სოციალურ ხარჯებს არჩევნებში გასამარჯვებლად.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სოციალურმა პროგრამებმა, ამ შემთხვევაში, მიზნობრივმა ფულადმა დახმარებამ, გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, მექსიკაში ჩატარებული შემთხვევითი შერჩევის ექსპერიმენტულ კვლევაშია ასახული. კვლევის თანახმად, მიზნობრივი სამთავრობო პროგრამები ზრდის როგორც არჩევნებში მონაწილეობის, ისე მხარდაჭერის მაჩვენებლებს მოქმედი ხელისუფლების მიმართ.²² სტატია – „მიზნობრივი ფულადი ტრანსფერების გავლენა საარჩევნო ქცევაზე: მექსიკაში ჩატარებული შემთხვევითი შერჩევის ექსპერიმენტის მტკიცებულებები“, განიხილავს, შეუძლია თუ არა მიზნობრივ პროგრამებს, გავლენა მოახდინოს დახმარების მიმღებ ადამიანებზე და შეცვალოს მათი პოლიტიკური პრეფერენციები სამთავრობო პარტიის სასარგებლოდ. კვლევა PROGRESA-ს, მექსიკის მოწინავე ფულადი დახმარების პროგრამის, შემთხვევითი შერჩევის ფაზის მონაცემებს ეყრდნობა. კვლევამ აჩვენა, რომ PROGRESA-ში ადრეულმა ჩართვამ მნიშვნელოვნად გაზარდა ამომრჩეველთა აქტივობა და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტისთვის მიცემული ხმათა წილი, მაშინ როცა აღნიშნულმა ფაქტმა ოპოზიციური პარტიების მიმართ მხარდაჭერაზე არ იმოქმედა. ნაშრომი ასევე ასკვნის, რომ რაც უფრო ხანგრძლივად სარგებლობენ ბენეფიციარები პროგრამით, მით უფრო მეტია შანსი, რომ ისინი დააფასებენ ხელისუფლებას იმ ინიციატივებისთვის, რომლებიც მათთვის სასურველია; აღნიშნული კი, შესაძლოა, ხმების მეტ რაოდენობაში გამოიხატოს.

სამთავრობო პროგრამების პოლიტიკური მანიპულირების თაობაზე ჩატარებული კიდევ ერთი კვლევა ეხება არგენტინაში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას. ნაშრომის თანახმად, სამთავრობო დაფინანსების გამოყოფა და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილების ალოკაცია ეფუძნება და დამოკიდებულია მოქმედი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა-

21 Camacho, A., & Conover, E. (2011). Manipulation of social program eligibility. *American Economic Journal: Economic Policy*, 3(2), 41-65.

22 De La O, A. L. (2013). Do conditional cash transfers affect electoral behavior? Evidence from a randomized experiment in Mexico. *American Journal of Political Science*, 57(1), 1-14.

გე.²³ აღნიშნული საკითხი ასევე აქტიურად განიხილება ქართულ კონტექსტში და ხშირად ხაზგასმულია ჟურნალისტურ გამოძიებებში. საჯარო სამსახურის დაურევულობა იმის დისკრეციის შესაძლებლობას იძლევა, რომ საჯარო/საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმება მოხდეს კერძო სექტორზე მაღალი ანაზღაურებით, ხოლო პოლიტიკური მხარდაჭერა სამუშაო ადგილებში გაიცვალოს. კვლევა ავლენს კლიენტელიზმის მტკიცებულებებს სამთავრობო სექტორში დასაქმებისას. პერონისტული პარტია უფრო მეტ სარგებელს იღებს, ვიდრე სხვა პარტიები, მისი ფართო პროვინციული/რეგიონული დაფარვისა და მფარველობის ძლიერი სისტემის გამო. ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროვინციებში, სადაც საჯარო/საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმება მაღალია მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, პერონისტული პარტია კონგრესის არჩევნებში (საკანონმდებლო ორგანოს) ხმების მნიშვნელოვნად მაღალ პროცენტს იღებს, განსხვავებით UCR/Alianza პარტიისგან. კვლევის თანახმად, საჯარო სამსახურის გამოყენების სტრატეგია ხმების მოსაპოვებლად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვთ პოლიტიკურ პარტიებს წვდომა საჯარო სამსახურთან სხვადასხვა სამთავრობო დონეზე და რამდენად არიან დამოკიდებულნი სხვადასხვა უნარ-ჩვევების მქონე ადამიანები ამგვარ სამსახურებზე. საბოლოოდ, პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც აქვთ ძლიერი გეოგრაფიული კავშირები ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებთან და საარჩევნო ოლქებთან, შეუძლიათ, სტრატეგიულად შეარჩიონ კონკრეტული ჯგუფები, როგორცაა, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები. ამ გზით ისინი კლიენტელიზმს ამყარებენ, და უზრუნველყოფენ მაღალ ხელფასებსა და მეტ სამუშაო ადგილს. ეს მიდგომა პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს, გაზარდონ ადგილობრივი გავლენა და უპასუხონ თავიანთი ოლქების მოლოდინებს. უმთავრესი ასპექტი ის არის, რომ პოლიტიკური პარტიები იყენებენ სტრატეგიული პატრონაჟის ტაქტიკას იმ რწმენაზე დაყრდნობით, რომ ამ გზით მიიღებენ სარგებელს, რაც გააძლიერებს მათ ძალაუფლებასა და მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე.

კლიენტელიზმზე არსებული კვლევების უმეტესობა ლათინური ამერიკის ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზეა კონცენტრირებული, ხოლო შედარებით ნაკლები რაოდენობის ანალიტიკური დოკუმენტები აფასებს მდგომარეობას აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. თუმცა, ერთი შედარებითი კვლევა განიხილავს პოლიტიკური პარტიების ტრადიციებსა და კლიენტელიზმს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.²⁴ სტატია იკვლევს, თუ როგორ იყენებენ პოლიტიკური პარტიები კლიენტელიზმს და როგორ განსაზღვრავს პარტიული მახასიათებლები ამ პრაქტიკას. კვლევა, რომელიც ადგილობრივ ექსპერტებთან ჩატარებულ გამოკითხვებს ეყრდნობა, მიუთითებს, რომ კლიენტელიზმი სამივე ქვეყანაში არსებობს, თუმცა, სხვადასხვა ძირითადი მამოძრავებლებით. საქართველოში, კლიენტელიზმის მთავარი ფაქტორი ადგილობრივი პოლიტიკოსების ცნობადობაა. მოლდოვაში, პარტიების ტერიტორიული დაფარვა თამაშობს გადამწყვეტ როლს, ხოლო უკრაინაში კლიენტელიზმის მთავარი მექანიზმი კერძო დაფინანსებაა. კონკრეტულად, საქართველოში, კლიენტელიზმის მაღალი დონის მქონე პარტიები ეყრდნობიან გამოჩენილ ადგილობრივ ლიდერებს ამომრჩევლებთან დასაკავშირებლად. ეს ლიდერები იყენებენ თავიანთ ცნობადობას და დამკვიდრებულ ურთიერთობებს, რათა საარჩევნო კამპანიების დროს ამომრჩევლები დააჭილდონ, რითაც კლიენტელიზმი მეტად პერსონალიზებული ხდება. კვლევა ასკვნის, რომ საქართველოში კლიენტელიზმის მასშტაბი მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკური ლიდერების ცნობადობასთან და ადგილობრივ ფესვებთან, რომლებიც თავიანთ თემებს სიკეთეებსა და მომსახურებას აწვდიან.

23 Calvo, E., & Murillo, M. V. (2004). Who delivers? Partisan clients in the Argentine electoral market. *American journal of political science*, 48(4), 742-757.

24 Gherghina, S., & Volintiru, C. (2023). Political parties and clientelism in transition countries: evidence from Georgia, Moldova and Ukraine. In *Political Parties and Electoral Clientelism* (pp. 87-103). Cham: Springer Nature Switzerland.

დასკვნისთვის, სოციალურ პროგრამებზე სახელმწიფო დანახარჯები, მათ შორის ფულადი ტრანსფერები და საზოგადოებრივი ბენეფიტები, ხშირად სტრატეგიულად გამოიყენება არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით ამომრჩევლების მოსყიდვისა და პატრონაჟის მეშვეობით. ამ სტრატეგიების ეფექტიანობა ვლინდება სხვადასხვა ქვეყანაში, მაშინაც კი, თუ აღნიშნულის გამოყენების მახასიათებლები განსხვავებულია. ლათინურ ამერიკაში ისეთი პროგრამები, როგორცაა მექსიკის PROGRESA და ბრაზილიის Bolsa Familia, ზრდის პოლიტიკურ მონაწილეობას და მოქმედი ხელისუფლების მხარდაჭერას. ურუგვაიში PANES პროგრამა უზრუნველყოფს მოქმედი ხელისუფლების ხანგრძლივ მხარდაჭერას, თუმცა ამომრჩევლები მმართველობის შედეგებსაც იყენებენ პოლიტიკოსების შეფასებისთვის. კოლუმბიაში ადგილობრივი პოლიტიკოსები არჩევნების წინ სოციალური დახმარებებით მანიპულირებენ, განსაკუთრებით, კონკურენტულ გარემოში, რაც ასევე იკვეთება საქართველოში, სადაც პოლიტიკური კონკურენცია არჩევნებში გამარჯვების მიზნით განუღო სოციალურ დანახარჯებზე ახდენს გავლენას. აღმოსავლეთ ევროპაში შედარებითი კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში კლიენტელიზმის მთავარ მამოძრავებელს წარმოადგენენ ადგილობრივი, გავლენიანი პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ ცნობადობას იყენებენ ამომრჩევლებთან ძლიერი კავშირების დასამყარებლად. ეს განსხვავდება მოლდოვისგან, სადაც პარტიების ტერიტორიული დაფარვა განაპირობებს კლიენტელიზმს, და უკრაინისგან, სადაც კერძო დაფინანსებაა აღნიშნულის განმაპირობებელი ფაქტორი. საქართველოში კლიენტელიზმის პერსონალიზებული ბუნება, რომელიც ადგილობრივი ლიდერების მიერ ბენეფიტებისა და სერვისების მიწოდებას ეყრდნობა, აძლიერებს პოლიტიკურ ძალაუფლებას, ხაზს უსვამს რეგიონულ განსხვავებებს და სოციალური ხარჯების პოლიტიკების რისკებს.

1.2. საქართველოს საარჩევნო სისტემის მოკლე მიმოხილვა

კვლევის მეთოდოლოგიასა და მიღებულ დასკვნებში ჩაღრმავებამდე, გადამწყვეტია გარკვეული კონტექსტის ანალიზი, რომელიც მოიცავს საარჩევნო სისტემისა და სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების მიმოხილვას საქართველოში. 1991 წლიდან, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში ჩატარდა 24 არჩევნები, მათ შორის, შვიდი საპრეზიდენტო, ცხრა საპარლამენტო და რვა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური არჩევნები. 2024 წლიდან პრეზიდენტი, რომელიც ადრე 5 წლის ვადით აირჩეოდა, აღარ აირჩევა პირდაპირი წესით; მას აირჩევს საარჩევნო კოლეგია.²⁵ საპარლამენტო ირჩევა 4 წლის ვადით, ისევე, როგორც მუნიციპალური ორგანოები და მერები, თუმცა ამ ვადების ხანგრძლივობა სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა.²⁶ 2012 წლიდან საქართველოს პოლიტიკური სისტემა საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკად შეიცვალა. პრეზიდენტმა დაკარგა თითქმის ყველა აღმასრულებელი უფლებამოსილება, ხოლო საპარლამენტო და მთავრობა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მთავარი

25 საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს საპარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. წყარო: <https://cutt.ly/XeUrKzWR>.

26 მაგალითად, 2014 წელს მუნიციპალური ორგანოები აირჩიეს 3 წლის ვადით, ხოლო შემდეგი მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა 2017 წელს.

აქტორები გახდნენ.²⁷ შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი არ ამახვილებს ყურადღებას საპრეზიდენტო არჩევნებზე.

პარლამენტის შემადგენლობის, დეპუტატთა რაოდენობის, საარჩევნო სისტემისა და პარტიებისა თუ მათი გაერთიანებების მიერ პარლამენტში ადგილების დასაკავებლად საჭირო ბარიერის სტანდარტები უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუმცა, მუდმივად არსებობდა კრიტიკა, რომ ეს ცვლილებები ხორციელდებოდა მოქმედი ხელისუფლების სასარგებლოდ, ხელს უწყობდა უთანასწორო კონკურენციის გარემოს შექმნას და ხშირად დომინანტური ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის, ზოგჯერ კი – სუპერუმრავლესობის, ჩამოყალიბებას იწვევდა.²⁸ ეს ცვლილებები ხშირად ხორციელდებოდა სხვადასხვა საარჩევნო ციკლში. თავდაპირველად, საქართველოს პარლამენტი შედგებოდა 250 დეპუტატისგან, თუმცა, წლების განმავლობაში, მათი რაოდენობა თანდათან მცირდებოდა და 2008 წელს 150-ით განისაზღვრა.²⁹ საქართველოს საარჩევნო სისტემა ისტორიულად იყო პროპორციული და ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების ნაზავი, სადაც მაჟორიტარი წევრების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა, 2008 წლის³⁰ დეპუტატების ნახევრიდან 2020 წლის არჩევნებზე მხოლოდ 30 მაჟორიტარ დეპუტატამდე.³¹ ტრადიციულად, მაჟორიტარული ოლქები შეესაბამებოდა საქართველოს მუნიციპალიტეტებს, გამოწვევის იყო რამდენიმე მცირე საარჩევნო ოლქი ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ და დედაქალაქი, რომელიც დაყოფილი იყო რამდენიმე ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქად.³² თუმცა, 2016 და 2020 წლებში ჩატარებული არჩევნებისას მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობის შემცირებას მოჰყვა საარჩევნო ოლქების განსაზღვრის ცვლილებებიც.³³ საბოლოოდ, 2024 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, მაჟორიტარული სისტემა გაუქმდა და მიღებულ იქნა სრულად პროპორციული სისტემა, პარლამენტში პარტიების შესვლისთვის 5%-იანი მინიმალური ბარიერით.³⁴ ასევე, საარჩევნო ბარიერი შეიცვალა 7%-დან (პირველად დადგენილი 1999 წელს) 5%-მდე. თუმცა, პოლიტიკური კრიზისის გამო, საგანგებო ღონისძიების ფარგლებში, 2020 წლის არჩევნებისას ბარიერი 1%-მდე³⁵ დაწიეს.

ადგილობრივი და მუნიციპალური არჩევნები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში იმართება, თუმცა თბილისის ტერიტორიაზე არჩევნები განსაკუთრებით გამორჩეულია პოლიტიკური და

27 Kakhishvili, L. (2020). From a presidential to a parliamentary government in Georgia. *Caucasus Analytical Digest*, (114), 11-14.

28 Nakashidze, M., & Sirabidze, D. (2020). Constitutional reforms on electoral system for consolidation of parliamentary democracy in Georgia. *International Comparative Jurisprudence*, 6(1), 9-27.

29 საქართველო – არჩევნების ისტორია: 1919-2017. წყარო: <https://cutt.ly/meUrX0UC>.

30 იქვე, გვ. 30.

31 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი. წყარო: <https://cutt.ly/FeUrNKI8>.

32 წყარო: <https://cutt.ly/TeUrMWj7>.

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხმის თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფისა და ოლქებს შორის ამომრჩეველთა უთანაბრობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტრადიციული საზღვრები შეიცვალა: პატარა ოლქები გაერთიანდა, ხოლო დიდი მუნიციპალიტეტები ან ქალაქები დაიყო რამდენიმე საარჩევნო ოლქად. ადრე, ოლქების ზომა მერყეობდა 6000-ზე ნაკლები ამომრჩევლიდან 150 000-ზე მეტ ამომრჩევლამდე.

34 წყარო: <https://cutt.ly/feWYrNlw>.

35 საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდა იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღეს, და იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი 1 პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს მაინც შეადგენდა.

წყარო: <https://cutt.ly/CeWYtwKJ>.

ეკონომიკური მნიშვნელობისა და სიდიდის გამო. საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, მუნიციპალური არჩევნებისთვის გამოყენებული სისტემები რამდენჯერმე შეიცვალა, დანყებული სრულად პროპორციულიდან შერეულ ან სრულად მაჟორიტარულ სისტემამდე.³⁶ 2006 წლიდან შერეულმა პროპორციულ-მაჟორიტარულმა სისტემამ გამოიწვია მმართველი პარტიის დომინირება საკრებულოებში, მათ შორის, თბილისში, რამაც შეცვალა ოპოზიციის წინა გავლენა.³⁷

თვითმმართველობის არჩევნები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: თბილისი, სხვა თვითმმართველი ქალაქები (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) და დანარჩენი 59 თვითმმართველი მუნიციპალიტეტი. 2014 წლიდან ირჩევენ როგორც ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებს, ისე მერებს. მერის არჩევნები არაპირდაპირი წესით იყო განსაზღვრული და მხოლოდ თბილისით შემოიფარგლებოდა ან საერთოდ არ არსებობდა.³⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამოიყენება შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემა. ეს სისტემა დროთა განმავლობაში შეიცვალა, ძირითადად შეიცვალა პროპორციულ და მაჟორიტარულ წარმომადგენლებს შორის ბალანსი და საარჩევნო ბარიერი. ადგილობრივი არჩევნების მრავალფეროვნებისა და თანმიმდევრული მიდგომის საჭიროებიდან გამომდინარე, გადაწყდა მხოლოდ ადგილობრივი საკრებულოს პროპორციული არჩევნების შედეგების გამოყენება. შესაბამისად, როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი არჩევნების შემთხვევაში, შედეგების წყარო არის არჩევნების პროპორციული ნაწილი.

1.3. საქართველოში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი განვითარების მოკლე მიმოხილვა

2006 წელს საქართველოს მთავრობამ დაწერა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც შემდგომ დაბალშემოსავლიანი ოჯახების მხარდაჭერის ძირითად ინსტრუმენტად იქცა. პროგრამა საჭიროებების შეფასების ირიბ მეთოდს იყენებს (Proxy Means Testing – PMT), რათა შეაფასოს ოჯახის კეთილდღეობა მთელი რიგი ფაქტორების მეშვეობით, მათ შორის, როგორცაა: საცხოვრისის მდგომარეობა, ოჯახის სიდიდე, დასაქმების სტატუსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, უძრავი ქონების ფლობა და კომუნალური ხარჯები. ეს მიდგომა ადგენს კეთილდღეობის ქულას თითოეული ოჯახისთვის.³⁹

სოციალური დახმარების პროგრამის მიმოხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ერთი პუბლიკაცია, რომელიც მომზადებულია იმავე პროექტის ფარგლებში, რომელშიც წინამდებარე ნაშრომი მომზადდა. ანა დიაკონიძის კვლევითი ანგარიში – „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა საქართველოში: პროგრამის სოციალური გავლენა და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი“,⁴⁰ დეტალურად ანალიზებს საქართველოს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მეთოდოლოგიას და მის ეფექტიანობას სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში.

36 ჭილაძე, ნ. (2022). მუნიციპალური არჩევნები: თავისებურებები და გამოწვევები საქართველოში. სამართლის ჟურნალი, 134.

37 იქვე.

38 საქართველო – არჩევნების ისტორია: 1919-2017. წყარო: <https://cutt.ly/meUrX0UC>.

39 დიაკონიძე, ა. (2024). მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა საქართველოში: პროგრამის სოციალური ეფექტი და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 9. წყარო: <https://cutt.ly/xewYtPD5>.

40 იქვე, გვ. 8.

მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემაში ჩასართავად პირმა ოფიციალურად უნდა წარადგინოს განცხადება სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივ ერთეულში. ამის შემდეგ, სოციალური მომსახურების სააგენტო ერთი თვის ვადაში აგზავნის სოციალურ აგენტს ოჯახის ადგილზე შესაფასებლად. შეგროვებული მონაცემები შეჰყავთ პროგრამაში, რომელიც ახდენს ინფორმაციის შეგროვებას დაკავშირებული სისტემებიდანაც, როგორცაა, საგადასახადო რეესტრი და საჯარო რეესტრი. პროგრამა ითვლის შინამეურნეობის კეთილდღეობის ქულას დახმარების ოდენობის დასადგენად და ბოლოს, ოჯახსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება.⁴¹

საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ უთითებს, რომ სოციალური დახმარება არის არა უპირობო უფლება, არამედ მიზნობრივი რესურსი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის, მათ შორის, ღარიბი ოჯახებისა და უსახლკაროებისთვის.⁴² შესაბამისად, სოციალური შემწეობა და ფულადი დახმარება მიმართულია გამოვლენილი ღარიბი ოჯახების – სარეიტინგო სისტემით დადგენილ ზღვარს ქვემოთ ქულების⁴³ მქონე შინამეურნეობების, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ოჯახის თითოეულ წევრზე ყოველთვიურად 30-60 ლარის ოდენობის დახმარების საშუალებით.⁴⁴ დამატებით, აღსანიშნავია, რომ მთავრობამ 2015 წლის მაისში აამოქმედა ბავშვთა დახმარების პროგრამა. ეს შეღავათი განკუთვნილია 120 000-ზე დაბალი ქულის მქონე ბავშვიანი ოჯახებისთვის და 16 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე თვეში 200 ლარის ოდენობით ფულად დახმარებას ითვალისწინებს.⁴⁵

სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების მიღების შემდეგ, მიმდინარეობს დისკუსია მის დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით და, ზოგადად, ამ სისტემისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული აქტორები საქართველოს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამას განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს ევროპასა და ცენტრალურ აზიაში სამიზნე ჯგუფების დაფარვის მიხედვით, სისტემა ეჭახება ისეთ გამოწვევებს, როგორცაა: მოძველებული მონაცემები, გამჭვირვალობა და ბენეფიციართა მხრიდან პოტენციური მანიპულირება; მეტიც, არსებობს კრიტიკა პროგრამის მიერ დასაქმების შეფერხებასთან დაკავშირებით, რაც იმის პრევენციას ახდენს, რომ ბენეფიციარები დასაქმდნენ ან შემოსავლის ალტერნატიული წყაროები ეძიონ.⁴⁶ ანა დიაკონიძის ზემოხსენებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამას გააჩნია ბენეფიციართა ჩარიცხვისა და ამორიცხვის შეცდომები, რაც განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან დახმარება, შესაძლოა, ვერ მიიღონ მათ, ვისაც ეს სასიცოცხლოდ ესაჭიროება. მრავალი მეთოდოლოგიური გადასინჯვის მიუხედავად, ფორმულა მაინც ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა, კომუნალური ხარჯები და მიწის საკუთრება, ხოლო სიღარიბეში მცხოვრები ბევრი ოჯახი სისტემის მიმართ უნდობლობის გამო თავს იკავებს განაცხადის გაკეთებისგან. ანგარიში ასკვნის, რომ სოციალური შემწეობა არაადეკვატურია სიღარიბის შესამსუბუქებლად და

41 იქვე, გვ. 11.

42 საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“; წყარო: <https://cutt.ly/JeUuns8R>.

43 კანონმდებლობის მიხედვით, ოჯახებისთვის ბარიერად განისაზღვრა 65 001 ქულა, ხოლო 16 წლამდე ბავშვიანი ოჯახებისთვის - 120 001 ქულა.

44 უფრო დეტალური ანალიზი მოცემულია: ჯანიაშვილი, მ. (2023). საარსებო შემწეობის როლი სოციალური დაცვის სისტემაში და მისი მიმართება სოციალური მხარდაჭერის სხვა სერვისებთან. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. წყარო: <https://cutt.ly/4eUuQgET>.

45 დიაკონიძე, ა. (2024). მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა საქართველოში: პროგრამის სოციალური ეფექტი და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 10.

46 Baum, T., Mshvidobadze, A., & Posadas, J. (2016). Continuous Improvement: Strengthening Georgia's Targeted Social Assistance Program. World Bank Publications. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მტკიცება (დასაქმების დემოტივაციასთან დაკავშირებით) 2019 წლის ქვემოთ მოყვანილი კვლევის მიერ არ არის მხარდაჭერილი.

გვთავაზობს ისეთ ალტერნატიულ მეთოდებს, როგორცაა, ე.წ. „სიმდიდრის ფილტრის“ გამოყენება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესად შესაფასებლად.⁴⁷

ცენტრალიზებული სისტემის გარდა, მუნიციპალურ დონეზე არსებობს სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამა, რომლის სამიზნე ჯგუფებს ძირითადად საარსებო შემწეობის მიმღებები წარმოადგენენ. თუმცა, მუნიციპალიტეტებში ფულადი თუ სხვა სახის დახმარების განაწილების ლოგიკა ყოველთვის არ არის ერთმნიშვნელოვანი ან თანმიმდევრული. 2023 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 64 მუნიციპალიტეტიდან 62-ში დახმარების მიღების ბარიერი (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ქულა) ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.⁴⁸

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს პროგრამის არსებობის მანძილზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენს, რომლებიც საეჭვოდ, სწორედ საარჩევნო წლებში ხორციელდება. მაგალითად, 2013 წლის ივნისში (ანუ საბიუჯეტო წლის შუა პერიოდში), საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, საარსებო შემწეობა გაორმაგდა და 30 ლარიდან 60 ლარამდე გაიზარდა.⁴⁹ კიდევ ერთ მაგალითს კანონმდებლობის მიერ ზედმეტად მიღებული საარსებო შემწეობის ლეგალიზაცია წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახებმა სოციალური შემწეობის შეწყვეტის გამო ზედმეტი თანხა მიიღო, ამ თანხის დაბრუნების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტო სასამართლოს მიმართავს. ზედმეტად მიღებული თანხის პირველ ლეგალიზაციას ადგილი ჰქონდა 2015 წლის აპრილში, არასაარჩევნო წელს,⁵⁰ თუმცა მომდევნო ორი – საარჩევნო წლებში განხორციელდა; კერძოდ, 2016 წლის დეკემბერში, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ,⁵¹ და 2021 წლის ივნისში, ადგილობრივ არჩევნებამდე.⁵²

სოციალური დახმარების პროგრამის გაანალიზებისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბენეფიციართა ზოგადი მახასიათებლები. UNICEF-ის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახები, რომლებიც იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, სხვებთან შედარებით უფრო მონყვლადები არიან. ეს შინამეურნეობები ხშირად ცხოვრობენ სოფლად, აქვთ განათლების შედარებით დაბალი დონე, ოჯახებში ბავშვების დიდი რაოდენობაა; ცალკეულ ოჯახებში არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან იძულებით გადაადგილებული წევრები. დასაქმების მწირი შესაძლებლობების პარალელურად, ბენეფიციართა უმეტესობა ეყრდნობა მცირე სასოფლო მეურნეობას; მათგან 81% ჩართულია სოფლის მეურნეობაში და მხოლოდ 10%-ს აქვს ანაზღაურებადი სამუშაო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საარსებო შემწეობის პროგრამა მონყვლადი ჯგუფებისთვისაა შექმნილი, მისი დაფარვა არ არის უნივერსალური. მაგალითად, 2019 წლის მდგომარეობით, ის სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 37%-ს ფარავდა.⁵³ წარმოდგენილმა მახასიათებლებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საარჩევნო ქცევის, სოციალურ დახმარებაზე განეული დანახარჯისა და საარჩევნო ოლქების მიხედვით ბენეფიციართა რაოდენობას შორის კავშირების შესწავლაში.

47 დიაკონიძე, ა. (2024). მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა საქართველოში: პროგრამის სოციალური ეფექტი და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

48 ჯანიაშვილი, მ. (2023). საარსებო შემწეობის როლი სოციალური დაცვის სისტემაში და მისი მიმართება სოციალური მხარდაჭერის სხვა სერვისებთან. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 50.

49 წყარო: <https://cutt.ly/7eWYohLU>.

50 წყარო: <https://cutt.ly/ZeWYoOpz>.

51 წყარო: <https://cutt.ly/ieWYoNOd>.

52 წყარო: <https://cutt.ly/weWYpzND>.

53 გუგუშვილი, დ., ლე ნესტური, ა. (2019). მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის სიღრმისეული ანალიზი და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაცია. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). წყარო: <https://cutt.ly/BeUuHZL1>.

II. მონაცემთა ანალიზის მიდგომები

წინამდებარე კვლევაში გამოიყენება ობსერვაციული კორელაციური მიდგომა საჯარო დანესებულებების მეორადი ადმინისტრაციული მონაცემებისა და მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო შედეგების გამოყენებით. ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, რომ საარჩევნო მონაცემები დაკავშირებულ იქნას სოციალური ტრანსფერების ინდიკატორებთან. სოციალური ხარჯების მონაცემები ხელმისაწვდომია 2008 წლიდან, რაც თეორიულად საშუალებას იძლევა, განხორციელდეს საპარლამენტო არჩევნებისა (2008, 2012, 2016, 2020) და ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) არჩევნების (2010, 2013, 2017, 2021) შედეგების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ 2016 და 2020 წლის არჩევნები გამონაკლისი იყო ოლქების გაერთიანებისა და გადანაწილების გამო და ყოველთვის არ ემთხვევა მუნიციპალიტეტების საზღვრებს. შედეგად, ტრადიციული საარჩევნო ოლქის მონაცემები აღდგენილი იქნა, რათა მისადაგებოდა მუნიციპალურ დონეზე სოციალური სტანდერტების მონაცემებს.⁵⁴

ორი ძირითადი დამოკიდებული ცვლადი გამოიყენება საარჩევნო წარმატების, მუნიციპალიტეტებსა და საარჩევნო ოლქებში პოლიტიკური და საარჩევნო კონკურენციის შესაფასებლად. ეს ორი ცვლადი შეფასებულია შემდეგი კრიტერიუმებით: არჩევნებში წარმატება იზომება მოქმედი ხელისუფლების მიერ მიღებული ხმათა წილის მიხედვით, ხოლო საარჩევნო კონკურენცია შეფასებულია საარჩევნო ოლქში გამარჯვებულსა და რიგით მეორე პარტიას შორის არსებული განსხვავებით. ორივე მონაცემი იზომება პროცენტული მაჩვენებლით.

პოლიტიკური კონკურენცია იზომება პირველ და მეორე პარტიებს შორის ხმების სხვაობით. კონკრეტულად, ეს არის ხმების სხვაობა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლების მქონე პარტიასა და რიგით მეორე პარტიას შორის, თითოეულ არჩევნებში როგორც მუნიციპალიტეტის, ისე საარჩევნო ოლქის მიხედვით. ანალიზისას გამოიყენება პროპორციული არჩევნების შედეგები, რაც საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ ყველა არჩევნების შედეგები და ასევე, შევინარჩუნოთ თანმიმდევრულობა.⁵⁵ ორივე შემთხვევისთვის ანალიზში გამოყენებულია მრავალჯერადი რეგრესიის მოდელები.

რეგრესიის მოდელების ფარგლებში, მოდელის მიხედვით, დამოუკიდებელი ცვლადები (პროგნოზირებადი ცვლადები) სოციალურ ტრანსფერებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი ინდიკატორი და მათი დაკავშირების გზა, ანალიზისთვის შეირჩა მხოლოდ ის ცვლადები, რომელთა ისტორიული და რაიონულ დონეზე არსებული ხარისხიანი მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ამ მიდგომიდან გამომდინარე, საბოლოო ანალიზისთვის შეირჩა შემდეგი ორი ცვლადი:

54 დაკვირვებების რაოდენობისა და ანალიზის შემლუღვების შესახებ დამატებითი დეტალები განხილულია თავში: „არჩევნების შედეგები და სოციალური ტრანსფერების მასშტაბი მუნიციპალიტეტებსა და საარჩევნო ოლქებში“.

55 საქართველოს საარჩევნო სისტემის შესახებ ქვეთავში აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2016 წლიდან. ეს ცვლილებები შეეხო როგორც მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობას, ასევე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებს. შესაბამისად, არჩევნების შედეგების მონაცემების შედარება გართულდა. ამას გარდა, იმის გამოც, რომ ადმინისტრაციული მონაცემები ძირითადად მუნიციპალიტეტებთან იყო დაკავშირებული, 2016 და 2020 წლებში მაჟორიტარული არჩევნების შედეგების ანალიზისთვის დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი იყო. პროპორციული და არა მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გამოყენების კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნებისას გამოიყენება სხვადასხვა მაჟორიტარული ერთეულის სტრუქტურა. გარდა ამისა, შესაძლოა, მაჟორიტარული არჩევნების ორი ტური ჩატარდეს, თუ პირველ ტურში ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს 50%-იან ბარიერს.

- მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა მუნიციპალიტეტების/რაიონების მიხედვით.⁵⁶
- საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა.⁵⁷

გარდა ამისა, საკონტროლო ცვლადები, როგორცაა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, მოსახლეობის რაოდენობა, ზღვის დონიდან მდებარეობა⁵⁸ და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლები მუნიციპალურ დონეზე, ასევე გაანალიზდა რეგრესიის მოდელებში, რაც მიზნად ისახავდა მოქმედი ხელისუფლების მხარდაჭერის სხვადასხვა დონის პროგნოზირებას მუნიციპალურ დონეზე.⁵⁹ სხვა საკონტროლო ცვლადებად გამოყენებული იყო ეკონომიკური განვითარების ცვლადები, როგორცაა, მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინვესტიციები და ცხოვრების ხარისხის არაპირდაპირი მაჩვენებელი, მაგალითად, სამედიცინო პერსონალი ერთ სულ მოსახლეზე.⁶⁰

რეგრესიული ანალიზის ჩატარებისას, მრავალჯერადი რეგრესიის სტატისტიკური მოდელები გამოიყენება დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირების შესაფასებლად და იმის გასაგებად, რამდენად ახდენს გავლენას სოციალური შემწეობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია არჩევნების შედეგებზე. ანალიზის დროს ერთეულს წარმოადგენს საარჩევნო წელი, ხოლო ხმების წილი ეფუძნება პროპორციული არჩევნების შედეგებს.

რაც შეეხება სოციალური ტრანსფერების სტატისტიკას, რეგრესიის მოდელებში გამოყენებულია საშუალო წლიური მაჩვენებლები. ასევე, მიღებული შედეგების სანდოობისთვის, გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, რომლებიც აკონტროლებს ფაქტორებს, როგორცაა, ენდოგენურობა და გამორჩენილი ცვლადების მიკერძოება (omitted variable bias). თითოეული მოდელისთვის განხორციელდა რეგრესიის ანალიზის სამი ტიპი: სტანდარტული OLS რეგრესია, რობასტული სტანდარტული შეცდომების რეგრესია (robust standard errors regression) და კვანტილური რეგრესიული მოდელები (quantile regression models). გამოყენებული ცვლადებისა და მიდგომების დეტალები წარმოდგენილია ანგარიშის თავში: „არჩევნების შედეგები და სოციალური ტრანსფერების მასშტაბი მუნიციპალიტეტებსა და საარჩევნო ოლქებში“.

მიუხედავად იმისა, რომ მოდელი იყენებს თითქმის ყველა საჭაროდ ხელმისაწვდომ მონაცემს, მან, შესაძლოა, პოტენციური გავლენის მქონე ფაქტორების სრული მრავალფეროვნება ვერ ასახოს. მაგალითად, აღწერილი ცვლადების გარდა, თეორიულად შესაძლებელია მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან მიღებული მონაცემების გამოყენება სხვადასხვა ტიპის სოციალური დანახარჯების შესახებ. თუმცა, ამ მონაცემების გამოყენებაზე გავლენას ახდენს რამდენიმე შემზღვეველი ფაქტორი,

56 მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა: <https://cutt.ly/aeWY-av6e>.

57 საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები. წყარო: <https://cutt.ly/ZeWYaUck>.

58 საქართველოში არჩევნების კონტექსტში გადამწყვეტ როლს თამაშობს გეოგრაფიული ფაქტორები. ასევე, იხილეთ: Sichinava, D. (2017). Cleavages, electoral geography, and the territorialization of political parties in the Republic of Georgia. *Eurasian Geography and Economics*, 58(6), 670-690.

59 აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2014 წლის საყოველთაო აღწერას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი მონაცემების საფუძველზე.

60 მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლადი გამოყენებული იყო ანალიზისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მას გარკვეული შეზღუდვები აქვს და სრულად ვერ ასახავს არსებულ სურათს. მაგალითად, მუნიციპალიტეტში სამედიცინო პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია გახსნილი ან დახურული კლინიკების რაოდენობაზე, რაც მუნიციპალიტეტის რეგიონის ცენტრთან სიახლოვეს უკავშირდება.

მათ შორის, მისი ხელმისაწვდომობა და ფორმატი, რაც დამოკიდებულია თითოეული მუნიციპალიტეტისა და სოციალური დანახარჯების ტიპზე. ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა, უმუშევრობის დონე მუნიციპალიტეტებში ან მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა, უზრუნველყოფს კონტექსტს ეკონომიკური პირობების გასაგებად, რამაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს სოციალური დახმარების ინსტრუმენტალიზაციაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინფორმაცია მუნიციპალურ დონეზე თანმიმდევრულად არ არის წარმოდგენილი.

პოლიტიკის ცვლადები შეიძლება მოიცავდეს სოციალური დახმარების პროგრამების დიზაინს, პოლიტიკის ცვლილებებს დროთა განმავლობაში და ზედამხედველობის მექანიზმების არსებობას. დამატებით, საზოგადოებრივი აზრის მონაცემებმა შეიძლება განსაზღვროს, თუ როგორ აღიქვამენ ამომრჩევლები სოციალური დახმარების პროგრამების გავლენას თავიანთ საარჩევნო გადანაცვლებებზე. თუმცა, ამ ფაქტორების უმეტესობის შემთხვევაში, არის დიდი ალბათობა, რომ მსგავსი მონაცემები არ არსებობს მუნიციპალურ ან საარჩევნო ოლქის დონეზე. აქედან გამომდინარე, ანალიზის პროცესში მხოლოდ ხელმისაწვდომი ცვლადებია ინტეგრირებული. აღნიშნული შეზღუდვები უნდა იქნას გათვალისწინებული რეგრესიული მოდელების შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციისას.

III. მიგნებები

ანგარიშის მიგნებების თავი ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი აღწერითი ხასიათისაა და დროით სივრცეში აფასებს ისტორიულ ცვლილებებს სოციალურ ტრანსფერებსა და ბენეფიციართა რაოდენობის შორის, ასევე აკავშირებს ამ ცვალებადობას საარჩევნო მოვლენებთან. მეორე ნაწილი ფოკუსირდება არჩევნების კონკრეტულ შედეგებზე და იყენებს რეგრესიის მოდელებს, რათა გამოიკვლიოს, როგორ უკავშირდება სოციალური ხარჯები – გაზომილი იმ ადამიანების წილით, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას და შინამეურნეობებზე გამოყოფილი ფულადი დახმარების ოდენობით – არჩევნების შედეგებს.

3.1. ცვლილებები დროში: აღწერითი სტატისტიკური შედეგები დროითი სერიების მონაცემებიდან

3.1.2. საარსებო შემწეობის მიმღებთა წილის ცვლილება

ანგარიშში შესწავლილი მონაცემების პირველი ნაწილი ეხება შინამეურნეობებისა და ფიზიკური პირების მიერ სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულთა წილის ანალიზს (ცხრილი 1). არსებული მონაცემები გვთავაზობს ყოვლისმომცველ პერსპექტივას იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა დახმარების მიმღებთა (შინამეურნეობებისა და ფიზიკური პირების) რაოდენობა და წილი დროთა განმავლობაში, რაც ასახავს საარჩევნო ციკლებისა და უფრო ფართო ეკონომიკური მდგომარეობის გეგავლენის ტენდენციებს. ერთ-ერთი თვალსაჩინო ტენდენცია, რომელიც შეინიშნება ყველა საარჩევნო ციკლში, არის ის, რომ საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მთლიან მოსახლეობაში უფრო მაღალია საარჩევნო წლებში, მათ წინა სამწლიან საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება მინიმალურია 2012 წლის არჩევნების შემთხვევაში, აღნიშნული მნიშვნელოვნად იზრდება 2016 და 2020 წლის არჩევნების დროს. აღსანიშნავია, რომ აბსოლუტური მაჩვენებლები განსხვავდება წლიდან წლამდე, თუმცა, კიდევ ერთი თვალსაჩინო დაკვირვება არის ის, რომ 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნების დროს, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულთა შორის საარსებო შემწეობის მიმღებთა (იზრდება შინამეურნეობებისა და ფიზიკური პირების წილი) რაოდენობა წინა სამწლიან საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან 2020 წლამდე შემწეობის მიმღებთა რაოდენობისა და პროცენტული მაჩვენებლების ზოგადი ზრდის ტენდენცია შეინიშნება. რაც შეეხება 2020 წლის არჩევნებს, COVID-19-ის გავლენის გამო სოციალური დანახარჯების ზრდა ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული.

ცხრილი 1. მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობა⁶¹ საპარლამენტო არჩევნების წლებისა და წინა პერიოდის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო).

	2009-2011 საშუალო	2012 საშუალო	2013-2015 საშუალო	2016 საშუალო	2017-2019 საშუალო	2020 საშუალო
რეგისტრირებულთა რაოდენობა: ოჯახი	530 535	518 210	520 559	433 786	324 431	315 035
რეგისტრირებულთა რაოდენობა: ადამიანი	1 724 668	1 659 521	1 630 749	1 338 076	974 712	957 329
საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა: ოჯახი	149 383	143 631	138 169	141 276	128 208	135 839
საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა: ადამიანი	426 001	435 961	415 500	459 619	443 919	484 122
საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულებთან: ოჯახი	28.1%	27.7%	26.5%	32.9%	39.5%	43.1%
საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულებთან: ადამიანი	24.7%	26.2%	25.4%	34.7%	45.6%	50.5%
საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან: ოჯახი*	12.7%	12.0%	12.6%	13.3%	12.0%	12.7%
საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან: ადამიანი ⁶² *	9.7%	9.9%	9.6%	12.3%	11.9%	13.0%

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიური საშუალო მაჩვენებლები საბიუჯეტო ციკლის ცვალებადობის შესახებ ფართო სურათს გთავაზობს, საარჩევნო წლების შესწავლა უფრო მეტ ინფორმაციას გვანდის. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო ორი საპარლამენტო არჩევნების დროს საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი გაიზარდა. საინტერესოა, რომ მსგავსი ცვლილებები იკვეთება წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდების ანალიზისას. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანია არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე იწყება. ეს პერიოდი მკვეთრად შეჭიბრებულია პოლიტიკური პარტიებისთვის, რადგან ისინი ამომრჩევლების მოზიდვას ცდილობენ. შესაბამისად, საარჩევნო წელი იყოფა სამ განსხვავებულ პერიოდად: არასაარჩევნო პერიოდი, რომელიც მოიცავს არჩევნებამდე 60-დღიანი ინტერვალის წინა თვეს; წინასაარჩევნო პერიოდი, რომელიც მოიცავს 60-დღიან პერიოდს არჩევნებამდე; და არჩევნების შემდგომი პერიოდი, რომელიც მოიცავს არჩევნების შემდგომ დღეებს.

გემოლნიშნული მიდგომის გამოყენებით მონაცემთა ანალიზისას ცხადი ხდება, რომ ბოლო სამივე საპარლამენტო არჩევნების დროს საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში წინასაარჩევნო პერიოდში უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინასაარჩევნო პერიოდამდე ერთი თვით ადრე. საინტერესოა, რომ 2012 და 2020 წლის არჩევნების შემთხვევაში დაფიქსირდა საარსებო შემწეობის მიმღებთა წილის ზღვრული ზრდა, რაც მიუთითებს გადაცემით (carryover) ეფექტზე (ცხრილი 2).⁶³

61 მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობა.

62 აღნიშნული მონაცემი ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ შედეგსა და 2014 წლის ბოლო 2 თვის საერთო მატების (ბუნებრივ მატებას + მიგრაციული სალდო) ჯამს.

63 საპარლამენტო არჩევნები ტრადიციულად შემოდგომის შუა რიცხვებში იმართება. პოსტსაარჩევნო პერიოდში, როგორც წესი, ნოემბერში ან დეკემბერში, დახმარების მიმღებთა არსებული ჯგუფი, როგორც წესი, ინერციით რჩება დახმარების მიმღებთა რიგებში.

ცხრილი 2. საარსებო შემწეობის მიმღებთა (ინდივიდები) პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში საარჩევნო წლებში. წარმოდგენილია ყოველთვიური საშუალო მაჩვენებლები. (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო)

საპარლამენტო არჩევნების წელი	არასაარჩევნო პერიოდი (დრო, არჩევნებამდე 60 დღით ადრე)	წინასაარჩევნო პერიოდი (60 დღე არჩევნების დღემდე)	პოსტსაარჩევნო პერიოდი
2012	9.2%	10.1%	10.9%
2016	11.9%	12.9%	12.9%
2020	12.6%	13.6%	13.9%

ადგილობრივი არჩევნების ანალიზმა არაერთგვაროვანი შედეგი გამოავლინა. 2010 და 2017 წლებში ჩატარებული არჩევნების შემთხვევაში სხვაობა წინასაარჩევნო პერიოდსა და სხვა პერიოდებს შორის შედარებით მცირე იყო. ამასთან, 2014 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ზრდა არ გამოვლინდა. ამის საპირისპიროდ, 2021 წლის არჩევნების მონაცემები აჩვენებს საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილის შესამჩნევ ზრდას მთელ მოსახლეობაში (ცხრილი 3). როგორც 2020 წლის შემთხვევაში, აღნიშნულ ზრდაზე ზეგავლენა, შესაძლოა, COVID-19-საც მოეხდინა.

ცხრილი 3. საარსებო შემწეობის მიმღებთა (ინდივიდები) პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში საარჩევნო წლებში. წარმოდგენილია ყოველთვიური საშუალო მაჩვენებლები (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო).

ადგილობრივი არჩევნების წელი	არასაარჩევნო პერიოდი (დრო, არჩევნებამდე 60 დღით ადრე)	წინასაარჩევნო პერიოდი (60 დღე არჩევნების დღემდე)	პოსტსაარჩევნო პერიოდი
2010	10.2%	10.7%	9.6%
2014	9.8%	9.8%	9.5%
2017	12.0%	12.3%	12.2%
2021	14.9%	16.8%	17.2%

გარდა, COVID-19-ის ზემოხსენებული ზეგავლენისა, წინამდებარე შედეგებს რამდენიმე შესაძლო ახსნა აქვს. ჰიპოთეზა ემყარება ორ ფაქტორს: არჩევნების ტიპი და სოციალური დანახარჯების საერთო ზრდა, რაც დამახასიათებელია ქართული ოცნების მთავრობისთვის, რომელმაც 2012 წელს ნაციონალური მოძრაობა შეცვალა. ზოგადად, ადგილობრივი არჩევნები, გარდა 2021 წელს ჩატარებული არჩევნებისა, ძირითადად უკონკურენტული იყო, რაც ნიშნავს, რომ გამარჯვებულებს მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ მათ კონკურენტებთან შედარებით (ცხრილი 4). აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, 2012, 2016 და 2020 წლების არჩევნები იყო კონკურენტული, თუმცა მკაფიო განსხვავებებით. 2012 წელს სამთავრობო პარტია დამარცხდა, ხოლო 2016 და 2020 წლებში მმართველმა პარტიამ ძალაუფლება შეინარჩუნა. საინტერესოა, რომ ამ ორი საპარლამენტო არჩევნებისას იკვეთება მთლიან მოსახლეობაში საარსებო შემწეობის მიმღებთა (აღამიანები) პროცენტული წილის ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა. შესაბამისად, შესაძლოა, არსებობდეს კავშირი საარჩევნო კონკურენტულობისა და სამთავრობო პარტიის შესაძლებლობას შორის, დარჩეს ხელისუფლებაში. დამატებით, 2012 წლისთვის დამახასიათებელია უნიკალურმა ასპექტებმა და სხვა ფაქტორებმა, შესაძლოა, ახსნას წარმოდგენილი ტენდენციები.⁶⁴

64 მაგალითისათვის, იხ.: Gugushvili, D. (2017). Lessons from Georgia's neoliberal experiment: A rising tide does not necessarily lift all boats. *Communist and Post-Communist Studies*, 50(1), 1-14, და Gugushvili, A. (2012). *Material Deprivation and the District Level Outcomes of the 2012 Parliamentary Elections in Georgia*. Tbilisi, Georgia: Center for Social Sciences, Applied Social Research Programme.

ცხრილი 4. პოლიტიკური კონკურენცია არჩევნების დროს (წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია).

მმართველი პარტია	არჩევნების წელი და ტიპი	გამარჯვებული/ მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი	საუკეთესო შედეგი ოპოზიციურ პარტიათაგან	სხვაობა
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2010 ადგილობრივი არჩევნები	65.75%	11.94%	53.81%
	2012 საპარლამენტო არჩევნები	40.34%	54.97%	-14.63%
ქართული ოცნება	2014 ადგილობრივი არჩევნები	50.82 %	22.42%	28.40%
	2016 საპარლამენტო არჩევნები	48.68%	27.11%	21.57%
	2017 ადგილობრივი არჩევნები	55.81 %	17.08 %	38.73%
	2020 საპარლამენტო არჩევნები	48.22%	27.18%	21.04%
	2021 ადგილობრივი არჩევნები	46.75%	30.67%	16.08%

კიდევ ერთი ახსნა შესაძლოა იყოს სოციალური დანახარჯების ზოგადი ზრდა, რაც 2012 წლიდან საქართველოსთვის დამახასიათებელია და რომელიც უფრო დეტალურად განხილულია მომდევნო ქვეთავში. გარე შოკების გარდა, როგორცაა COVID-19-ის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, გაზრდილი სოციალური დანახარჯები და სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა⁶⁵ კიდევ ერთი პოტენციური ფაქტორია, რამაც შეიძლება ახსნას აღნიშნული ცვლილებები.


დიაგრამა 1 აჭამებს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ და საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობას საარჩევნო წლებში. ტენდენციის მნიშვნელოვანი ცვლილება, როგორც იკვეთება, დაიწყო 2015 წლის შუა პერიოდში, როდესაც დარეგისტრირებულთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ დარეგისტრირებულთა წილი, რომლებიც ჩაერთნენ სოციალური დახმარებას პროგრამაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ცვლილების ერთ-ერთი დამაჭერებელი ახსნა არის მთავრობის 2015 წლის მაისის გადაწყვეტილება ბავშვებისათვის სოციალური შემწეობის პროგრამის ამოქმედების შესახებ, რამაც გაზარდა ბენეფიციართა პოტენციური ჯგუფი. თუმცა, ეს ვერ ხსნის სრულად, რატომ დაიწყო რეგისტრირებულთა აბსოლუტური რაოდენობის კლება, მაშინ როდესაც რეგისტრირებულთა შორის საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტი გაიზარდა. ამ ცვლილებებზე გავლენის მექანიზმი კიდევ ერთი პოტენციური ფაქტორი შეიძლება იყოს მეთოდოლოგიური ცვლილებები, რაც 2015 წლის იანვრიდან⁶⁶ ამოქმედდა. ეს ცვლილებები დეტალურადაა გაანალიზებული ანა დიაკონიძის კვლევაში.⁶⁷ ძირითადი ცვლილებები ეხება მონაცვლად მდგომარეობაში მყოფ პირთა და სოციალურად დაუცველთა სიაში შემავალ პირთა ჯგუფებში ცვლილებებსა და დაზუსტებას. მაგალითად, იძულებით გადაადგილებული პირები თავდაპირველად მოიაზრებოდნენ სოციალურად დაუცველად, მაგრამ მოგვიანებით გამოირიცხნენ, რადგან მართო დევნილობა არ მიიჩნეოდა მონაცვლადობის ფაქტორად. პენსიონერები იყო კიდევ ერთი ჯგუფი, რომელზეც აისახა ცვლილება – სისტემაში მართახელა, არამშრომელ პენსიონერთა წილი შემცირდა ბავშვიანი ოჯახების სასარგებლოდ.

65 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. წყარო: <https://cutt.ly/3eWYffG0>.

66 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N 758 დადგენილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების(შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“. წყარო: <https://cutt.ly/xeWYfv1>.

67 ა. დიაკონიძე, (2024). მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა საქართველოში: პროგრამის სოციალური ეფექტი და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 13-14.


დიაგრამა 1. მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ და საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა (2008–2022 წწ.)



3.1.2. საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე დახარჯული დაფინანსების ოდენობის ცვლილება


მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულთა საერთო რაოდენობა მცირდება, დახმარების მიმღებთა ოდენობა რეალურად გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ისე პროცენტულად (დიაგრამა 1). უკანასკნელი წლების განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯები სახელმწიფო ხარჯების უდიდეს ნაწილს შეადგენს (დიაგრამა 2). ეს ნიშნავს, რომ ხარჯების ზრდა და ცვლილებები არ არის მიმართული მხოლოდ საარჩევნო მიზნებისკენ, არამედ არის სოციალურ დანახარჯებთან დაკავშირებით მთავრობის ფართო ფოკუსის ნაწილი. დროთა განმავლობაში, ასევე შეიცვალა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების დაფინანსების ოდენობა.

დიაგრამა 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შესრულების მაჩვენებლები (არაფინანსური აქტივების ჩათვლით, მლნ. ლარი) (წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)



აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ სოციალური დანახარჯების ზრდასთან ერთად, გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხებიც (დიაგრამა 3). ქალაქებსა და სოფლად არსებულ დასახლებებს შორის ამ მაჩვენებლების შედარებისას ჩანს, რომ სოფლად ტრანსფერები მუდმივად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში, რაც ასახავს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტს, სადაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. ფულადი ტრანსფერები სწრაფად გაიზარდა რამდენიმე პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით, 2013 წლის შუა პერიოდში, 2019 წლის პირველ ნახევარში და 2021 წლის შუა პერიოდში. 2013 წლის ზრდა, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ყოველთვიური შემწეობის ოდენობის გაზრდასთან, როდესაც მთავრობამ 2013 წლის ივნისში გააორმაგა ერთ ადამიანზე გადარიცხული თანხა 30 ლარიდან 60 ლარამდე. ფულადი ტრანსფერების შემდგომი ანალიზი ადასტურებს წინა ქვეთავში განხილულ ძირითად დასკვნებს საარჩევნო და არასაარჩევნო წლების შედარებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 3. საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა ლარში (2008–2022 წწ.)



მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის მონაცემები არ უთითებს საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე დანახარჯების ზრდაზე საარჩევნო წლის განმავლობაში წინა სამ წელთან შედარებით, 2016 და 2020 წლების მონაცემები აჩვენებს, რომ საშუალო თვიური ხარჯები ორივე საარჩევნო წელს სამი წლის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი იყო (ცხრილი 5). მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენციები შესამჩნევია როგორც სოფლად, ასევე ქალაქში მცხოვრებ ოჯახებში, ორივე შემთხვევაში სხვაობა უფრო დიდია ქალაქში მცხოვრებ ოჯახებთან მიმართებით. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ოჯახების სტრუქტურით (სოფლად, როგორც წესი, უფრო დიდი ოჯახები ცხოვრობენ, ხოლო ქალაქებში მცირე ზომის ოჯახები⁶⁸) და ასევე იმ ფაქტით, რომ სოფლად მცხოვრები შინამეურნეობები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაუცველები არიან.⁶⁹

68 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შინამეურნეობების საშუალო ზომა სოფლად უფრო დიდია, ვიდრე ქალაქებში. წყარო: <https://cutt.ly/leWYg4WT>.

69 როგორც ეს მანამდე განვიხილეთ, ეს დასკვნა დაფუძნებულია გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევაზე, რომელიც ეხება მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის ანალიზსა და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაციას.

ცხრილი 5. საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხების ოდენობა (ლარში) საპარლამენტო არჩევნების წლის და წინა 3 წლის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით. წარმოდგენილია ყოველთვიური საშუალო მაჩვენებლები (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო).

	2009-2011 საშუალო	2012 საშუალო ⁷⁰	2013-2015 საშუალო	2016 საშუალო	2017-2019 საშუალო	2020 საშუალო
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა: საქალაქო დასახლება	მონაცემები არ არის	4 662 538 ლ	8 380 783 ლ	9 720 530 ლ	10 665 267 ლ	13 094 973 ლ
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა: სასოფლო დასახლება	მონაცემები არ არის	7 388 056 ლ	12 410 167 ლ	12 795 309 ლ	12 330 556 ლ	15 178 147 ლ
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა	12 047 063 ლ	11 743 535 ლ	20 797 555 ლ	22 515 839 ლ	23 002 727 ლ	28 273 120 ლ

საარჩევნო წლებზე ყურადღებით დაკვირვება და ხარჯების შედარება წინასაარჩევნო და სხვა პერიოდებთან გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაშიც კი გაზრდილია საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა (ცხრილი 6).

ცხრილი 6. საარჩევნო წლებში საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა. წარმოდგენილია ყოველთვიური საშუალო მაჩვენებლები (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო).

საპარლამენტო არჩევნების წელი	არასაარჩევნო პერიოდი (დრო არჩევნებამდე 60 დღით ადრე)	წინასაარჩევნო პერიოდი (60 დღე არჩევნების დღემდე)	პოსტსაარჩევნო პერიოდი
2012	11 223 344 ლ	11 940 879 ლ	12 825 753 ლ
2016	22 345 981 ლ	22 708 935 ლ	22 783 444 ლ
2020	27 941 192 ლ	28 639 624 ლ	29 234 331 ლ

ადგილობრივი არჩევნების შემთხვევაში დროის სხვადასხვა მომენტში განეული ხარჯების ხარჯების ზრდის ზოგადი ტენდენცია არ შეინიშნება 2010 წლის არჩევნების დროს და მინიმალურია 2014 და 2017 წლის არჩევნების შემთხვევაში (ცხრილი 7). თუმცა, 2021 წლის არჩევნების თვალსაზრისით, განსხვავება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეს დაკვირვებები ემთხვევა საარსებო შემწეობის მიმღებთა სტატისტიკის ანალიზის დასკვნებს, რომლებიც აჩვენებს, რომ ყველაზე კონკურენტული არჩევნები ხარჯების ყველაზე მაღალ რყევებს ავლენს საარჩევნო წლებსა და პერიოდებში, როგორც ეს 2021 წლის არჩევნების დროს მოხდა.

70 ქალაქისა და სოფლის მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ მაისიდან დეკემბრამდე. შესაბამისად, 2012 წლისთვის წლიური საშუალო მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ ამ თვეებისთვის.

ცხრილი 7. საარჩევნო წლებში საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა. წარმოდგენილია ყოველთვიური საშუალო მაჩვენებლები (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო).

ადგილობრივი არჩევნების წელი	არასაარჩევნო პერიოდი (დრო არჩევნებამდე 60 დღით ადრე)	წინასაარჩევნო პერიოდი (60 დღე არჩევნების დღემდე)	პოსტსაარჩევნო პერიოდი
2010	13 005 726 ლ	12 810 076 ლ	11 879 168 ლ
2014	23 858 463 ლ	23 777 200 ლ	23 020 020 ლ
2017	21 665 333 ლ	21 092 864 ლ	21 120 909 ლ
2021	31 994 656 ლ	42 811 597 ლ	43 864 567 ლ

შეტამების მიზნით, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული ადამიანების რაოდენობა შემცირდა, შემწეობის მიმღებთა რაოდენობა, როგორც რაოდენობრივად, ასევე პროცენტულად, გაიზარდა. ეს ტენდენცია მიუთითებს მთავრობის ფოკუსირებულ მიდგომაზე სოციალური ხარჯების, განსაკუთრებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში. დროთა განმავლობაში, სოციალური პროგრამებისთვის განკუთვნილი დანახარჯები, მათ შორის საარსებო შემწეობა, გაიზარდა, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობა ცხოვრობს. ფულადი ტრანსფერების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2013 წლის შუა პერიოდში, 2019 წლის დასაწყისში და 2021 წლის შუა პერიოდში, რაც ხშირად ემთხვევა პოლიტიკის ცვლილებებს ან საარჩევნო პერიოდებს.

სოფლისა და ქალაქის მონაცემების შედარებით, საარჩევნო წლებში დანახარჯები უფრო მაღალია, განსაკუთრებით, მჭიდრო კონკურენციის პირობებში, როგორც ეს 2021 წელს მოხდა. საზოგადოებრივი დისკურსის თანახმად, სოციალური დახმარება, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ამომრჩევლების ქცევაზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მაგალითად, 2021 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 48 პროცენტი ფიქრობს, რომ სოციალური დახმარების მიმღებმა ოჯახებმა შესაძლოა დაკარგონ დახმარება,⁷¹ თუ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში და არ მისცემენ ხმას (კონკრეტული პარტია არ იყო ნახსენები). აღნიშნული ხაზს უსვამს ელექტორალურ ქცევასა და სოციალურ დახმარებას შორის რეალური ურთიერთობის გააზრების მნიშვნელობას.

3.2. არჩევნების შედეგები და სოციალური ტრანსფერების მასშტაბი მუნიციპალიტეტებსა და საარჩევნო ოლქებში

3.2.1. მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია და ცვლადების აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობითი სტატისტიკა უზრუნველყოფს მონაცემებისა და ტენდენციების მიმოხილვას, იგი არ იძლევა სოციალურ დანახარჯებსა და საარჩევნო პროცესებს შორის ურთიერთობის საკითხის სიღრმისეული გაგების შესაძლებლობას. უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა რეგრესიული ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს გამოვლენილ ცვლადებს შორის მჭიდრო კავშირების დადგენას. წინამდებარე ანალიზი ორ ფართო ნაწილადაა დაყოფილი და დამოუკიდებლად იკვლევს საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებს. ორივე შემთხვევაში განხილულია რამდენიმე საარჩევნო ციკლი, რომელიც ჩატარდა ორი სხვადასხვა მმართველი პარტიის მიერ, რათა შეფასდეს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ტენდენციების განზოგადება.

71 საზოგადოების დამოკიდებულება საარჩევნო პროცესების მიმართ, 2021 წ. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). გვ. 39. წყარო: <https://cutt.ly/7eUirnQj>.

რეგრესიული ანალიზის განხილვამდე, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ანალიზში გამოყენებული ცვლადები და ლოგიკა. დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტების შესაბამისი საარჩევნო ოლქები. იმის გამო, რომ სოციალური დანახარჯებისა და ბენეფიციარების მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის თბილისში არსებული საარჩევნო ოლქებისთვის, ეს ოლქები რეგრესიულ ანალიზში არ შედის. საერთო ჯამში, ანალიზი მოიცავს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის შესაბამისი საარჩევნო ოლქების მონაცემებს.⁷²

ცალკეულ მოდელებში გამოყენებულია ორი ტიპის დამოკიდებული ცვლადი: ა) მოქმედი მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი თითოეულ საარჩევნო ოლქში, რაც ზომავს სოციალურად ორიენტირებული დანახარჯების წარმატებას და ბ) ცვლადი, რომელიც ზომავს პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის განსხვავებას თითოეულ საარჩევნო ოლქში, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს კონკურენციისა და პოლიტიკური დაპირისპირების დონე. მოსახლეობის რაოდენობის გასათვალისწინებლად, ორივე ცვლადი სტანდარტიზებულია პოპულაციის სიდიდის მიხედვით (გაყოფილი მოცემულ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობაზე). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის რაოდენობის კალკულაციისთვის გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.⁷³ ეს მიდგომა ოდნავ განსხვავდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიისგან, რომელიც ეყრდნობა 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ შედეგებსა და 2014 წლის ბოლო 2 თვის საერთო მატების (ბუნებრივ მატებას + მიგრაციული სალდო) ჯამს. თუმცა, კვლევაში შემოთავაზებული მიდგომა უფრო ზუსტია, რადგან ის ზომავს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებთა რეალურ რაოდენობას დროის კონკრეტულ მომენტში.

წარმოდგენილ მოდელებში გამოყენებულია ორი ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადი: საარჩევნო ოლქის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე 1) საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხის ოდენობა და 2) საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა. რეგრესიის ყველა მოდელში გამოყენებულია შემდეგი საკონტროლო ცვლადები: ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი, ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის წილი, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი, მართლმადიდებელი ქრისტიანების წილი და ზღვის დონიდან მუნიციპალიტეტის მდებარეობა. გარდა სოციალურ-გეოგრაფიული ცვლადებისა, მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების დონის ირიბად გასაზომად გათვალისწინებულია სამედიცინო პერსონალის წილი ერთ სულ მოსახლეზე და ბიზნეს სექტორში ინვესტიციები.

შეჯამებისთვის, ანგარიშში გამოყენებულია ოთხი ძირითადი რეგრესიის მოდელი სხვადასხვა არჩევნებისთვის. პირველ მოდელში, დამოკიდებული ცვლადი არის „მოქმედი მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი“, ხოლო პირველადი დამოუკიდებელი ცვლადი არის „საარსებო შემწეობის მიმღებთა ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე“. საკონტროლო ცვლადებია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი, ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის წილი, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი, მართლმადიდებელი ქრისტიანების წილი, მდებარეობა ზღვის დონიდან, ინვესტიციების მოცულობა და სამედიცინო პერსონალის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე. მეორე მოდელი მსგავსია, მაგრამ პირველადი დამოუკიდებელი ცვლადი არის „საარსებო შემწეო-

72 საქართველოს 69 მუნიციპალიტეტიდან 64 თვითმმართველი თემია და 5 თვითმმართველი ქალაქი, თუმცა მათთან მიმართებით მსგავსი რეჟიმები ვრცელდება. 2008 წლიდან, ამ მუნიციპალიტეტებიდან ხუთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. თბილისი, დედაქალაქი, ითვლება ერთიან მუნიციპალიტეტად, მაგრამ, როგორც წესი, იყოფა ათ საარჩევნო ოლქად მისი დიდი ზომის გამო.

73 სექცია: “მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით”. წყარო: <https://cutt.ly/seUfWe6Y>.

ბის ფულადი ტრანსფერები ერთ სულ მოსახლეზე“. მესამე და მეოთხე მოდელები მსგავს ლოგიკას მიჰყვება, მაგრამ დამოკიდებული ცვლადი არის განსხვავება პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის. ეს მიდგომა გამოყენებულია 2020 და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების, ასევე 2021, 2017 და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაში. არსებობს ორი გამონაკლისი: 2012 წლის საპარლამენტო და 2010 წლის ადგილობრივი არჩევნები. 2012 წლის არჩევნების შემთხვევაში დაემატა ცვლადი „სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე“. 2010 წელთან მიმართებით გამოყენებულია მხოლოდ „საარსებო შემწეობის ფულადი ტრანსფერები ერთ სულ მოსახლეზე“, რადგან „საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ“ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

დასასრულს, ყველა მოდელი გაანალიზდა სამი განსხვავებული რეგრესიული მეთოდის გამოყენებით: 1) სტანდარტული უმცირეს კვადრატთა (OLS) წრფივი რეგრესია, 2) რობასტული რეგრესია, რათა შემციოდეს პოტენციური პრობლემები, რომლებიც შეიძლება მომდინარეობდეს გარე დაკვირვებებიდან და 3) კვანტილური რეგრესია, რომელიც შესრულდა 50-ე პროცენტილზე (მედიანა). მაშინ, როცა უმცირეს კვადრატთა მეთოდი აფასებს დამოკიდებული ცვლადის ნაშთურ საშუალოს პროგნოზირებადი ცვლადების მიხედვით, კვანტილური რეგრესია აფასებს დამოკიდებული ცვლადის ნაშთურ მედიანას (ან სხვა კვანტილებს). კვანტილური რეგრესია არის წრფივი რეგრესიის გაფართოება, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევებში, როდესაც წრფივი რეგრესიის დაშვებები არ დაემთხვა.

3.2.2. საპარლამენტო არჩევნები

ცხრილი 8. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების რეგრესიის შედეგები.

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)
ცვლადები	სტანდარტული უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესია (OLS)	რობასტული რეგრესია (MM)	რობასტული რეგრესია (S)	რობასტული რეგრესია (scale)	კვანტილური რეგრესია 0.5 - ზე
	დამოკიდებული ცვლადი: სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი				
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-6.359 (15.76)	14.64 (10.45)	48.10*** (12.06)		4.066 (9.985)
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-0.113 (0.245)	0.189 (0.145)	0.779*** (0.121)		0.0636 (0.144)
	დამოკიდებული ცვლადი: სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის				
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-0.440 (24.97)	37.99 (52.77)	28.95** (12.62)		14.84 (21.37)
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-0.0608 (0.389)	0.442 (0.878)	0.377 (0.352)		0.208 (0.374)

რობასტული სტანდარტული შეცდომა მოცემულია ფრჩხილებში

*** $p < 0.01$, ** $p < 0.05$, * $p < 0.1$

თითოეული არჩევნებისთვის რეგრესიის შედეგების დეტალური ცხრილები, თითოეული საკონტროლო ცვლადის საანგარიშო მაჩვენებლები წარმოდგენილია ანგარიშის დანართში. ტექსტის ძირითად ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადების შედეგები. მაგალითად, ცხრილი 8 აჩვენებს შედეგებს სამივე ტიპის რეგრესიის მოდელისთვის სხვადასხვა დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით. ცხრილების ინტერპრეტაცია ხდება შემდეგნაირად: ყოველი დამოუკიდებელი ცვლადის პირველი სტრიქონი აჩვენებს რეგრესიის კოეფიციენტს, ხოლო რობასტული სტანდარტული შეცდომა ფრჩხილებშია მოცემული. ვარსკვლავი აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობას.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან დაწყებული, მოდელის უმეტესობა არ უთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირზე არც მოქმედი სამთავრობო პარტიის მიერ მიღებულ ხმების წილთან, არც საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობასთან, და არც საარსებო შემწეობის ფულად ტრანსფერებთან მიმართებით (ცხრილი 8). მხოლოდ რობასტული რეგრესიის შემთხვევაში გამოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი მოქმედი სამთავრობო პარტიის მიერ მიღებულ ხმებსა და ერთ სულ მოსახლეზე საარსებო შემწეობის ფულადი ტრანსფერების, ასევე საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობას შორის – მიღებული ხმების წილის ზრდა დაკავშირებულია საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის გაზრდასთან და იმ ოლქებში გადარიცხულ მეტ თანხასთან. იგივე ეხება პირველ და მეორე ადგილზე გასული პარტიების შორის სხვაობის გაზომვის მოდელს. თუმცა, ეს ურთიერთობა არ არის სწორხაზოვანი და წრფივი. ამ დასკვნების ინტერპრეტაციის უფრო მარტივი გზაა მონაცემების წარმოდგენა სხვადასხვა კატეგორიის საშუალო მაჩვენებლების შედარების გზით, ვიდრე რეგრესიის კოეფიციენტების გამოყენებით.

ცხრილი 9. ერთ სულ მოსახლეზე საარსებო შემწეობის ფულადი ტრანსფერებისა და შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მაჩვენებლები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს.

საშუალო თვიური მაჩვენებლები	მმართველი პარტია > 50%	მმართველი პარტია < 50%	სტანდ. შეცდომა	სტანდარტული გადახრა	T-Test P-მნიშვნელობა
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით) ლარი	12.42 (n= 38)	9.05 (n=25)	1.36 0.91	8.36 4.54	0.07*
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	0.22 (n= 38)	0.16 (n=25)	0.02 0.02	0.13 0.08	0.07*
საარსებო შემწეობის მიმღები პირების წილი რეგისტრირებულებთან	51.8% (n= 38)	47.0% (n=25)	2.21 2.50	13.64 12.50	0.15

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ცხრილი 10. ერთ სულ მოსახლეზე საარსებო შემწეობის ფულადი ტრანსფერებისა და შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მაჩვენებლები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. დაყოფილი შედეგები აჩვენებს განსხვავებებს პირველ და მეორე საუკეთესო პარტიას შორის.

	განსხვავება < 10%	განსხვავება 10%-20%	განსხვავება 20%- 30%	განსხვავება > 30%	სტანდარტული გადახრა	ANOVA P-მნიშვნელობა
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით) ლარი	9.32 (n=8)	9.58 (n=14)	9.10 (n=18)	14.18 (n=23)	7.24	0.08*
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	0.15 (n=8)	0.18 (n=14)	0.17 (n=18)	0.25 (n=23)	0.12	0.07*
საარსებო შემწეობის მიმღები პირების წილი რეგისტრირებულ ტანსაცმელთან	56.2% (n=8)	44.0% (n=14)	50.0% (n=18)	51.31% (n=23)	13.32	0.19

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

საარჩევნო ოლქებში, სადაც მოქმედმა სამთავრობო პარტიამ ხმების ნახევარზე მეტი მიიღო, საშუალოდ მეტი თანხა იხარჯებოდა საარსებო შემწეობის ფულად ტრანსფერებზე და შედარებით მეტმა ადამიანმა მიიღო საარსებო შემწეობის პაკეტი. თუმცა, მონაცემთა ორი ჯგუფის საშუალოს შედარება (T-Test), აჩვენებს ზომიერ სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობას⁷⁴ (ცხრილი 9). პოლიტიკური კონკურენციის სხვადასხვა დონეზე, რომელიც იზომება პირველი და მეორე ადგილზე გასული პარტიების შორის სხვაობით, შედეგები არაერთგვაროვანია. ფულადი ტრანსფერების შემთხვევაში, ვხედავთ, რომ ნაკლები პოლიტიკური კონკურენციის მქონე მუნიციპალიტეტები (სხვაობა ხმათა წილის 30%-ზე მეტი) იღებენ საშუალოდ მეტ ფულად ტრანსფერს და ასევე მაღალია საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე (ცხრილი 10). თუმცა, ამ შემთხვევებშიც, არსებული სხვაობა მხოლოდ ზომიერად მნიშვნელოვანია.

გემოაღნიშნული ანალიზი პოტენციურად მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედი სამთავრობო პარტია ცდილობდა, მაქსიმალურად გაეზარდა ბენეფიციარების დაფარვა და ამავდროულად დაეკმაყოფილებინა ის ტერიტორიული ერთეულები, საიდანაც ელოდა მეტი ხმის მიღებას. თუმცა, ეს ჰიპოთეზა საჭიროებს დამატებით გამოკვლევასა და დეტალურ ანალიზს. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ერთ-ერთი გზა იყო ახალი ცვლადის შემოღება ანალიზში – საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულ პირებს შორის. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ მათი წილი ოდნავ მაღალია იმ ოლქებში, სადაც მოქმედმა სამთავრობო პარტიამ გადალახა 50%-იანი ბარიერი,

74 p-მნიშვნელობა ზომავს ალბათობას, რომ დაკვირვების შედეგები მიღებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ნულოვანი ჰიპოთეზა გამართლდებოდა. დაბალი p-მნიშვნელობა მიუთითებს, რომ დაკვირვებული სხვაობა ან ეფექტი, უფრო სავარაუდოა, არ იყოს შემთხვევითი და ამიტომ სტატისტიკურად უფრო მნიშვნელოვანია. როგორც წესი, **0.05** ან უფრო დაბალი p-მნიშვნელობა ითვლება სტატისტიკურად მნიშვნელოვანად, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ 5% შანსია იმისა, რომ განსხვავება ან ეფექტი შემთხვევითია და არ არის რეალური. სტატისტიკური მნიშვნელობის სხვა დონეები არის **0.01** (უფრო მკაცრი) და **0.1** (ნაკლებად მკაცრი).

ვიდრე იმ ოლქებში, სადაც უმრავლესობა ვერ მოიპოვა. როდესაც ამ ცვლადის ანალიზი ჩატარდა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის სხვაობასთან, რეგისტრირებულ პირებს შორის საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი ყველაზე მაღალი იყო ყველაზე მეტად კონკურენტულ ოლქებში. თუმცა, 2020 წლის არჩევნების შემთხვევაში, ეს სხვაობა საკმარისად დიდი არ არის და, ორივე შემთხვევაში, სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის (ცხრილი 9 და 10).

მსგავსა ანალიზმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებით ძირითადად იგივე შედეგი გამოიღო. სუსტი კავშირი დაფიქსირდა მოქმედი სამთავრობო პარტიის მიერ მიცემული ხმების რაოდენობასა და საარსებო შემწეობის მიმღებთა და ფულადი ტრანსფერების ოდენობას შორის (ცხრილი 11).


ცხრილი 11. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების რეგრესიის შედეგები

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)
ცვლადები	სტანდარტული უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესია (OLS)	რობასტული რეგრესია (MM)	რობასტული რეგრესია (S)	რობასტული რეგრესია (scale)	კვანტილური რეგრესია 0.5 - ზე
	დამოკიდებული ცვლადი: სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი				
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	1.725 (19.13)	18.41* (9.758)	2.720 (17.40)		15.31 (15.53)
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-0.0249 (0.373)	0.315* (0.169)	0.0945 (0.311)		0.256 (0.258)
	დამოკიდებული ცვლადი: სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის				
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	30.12 (36.29)	60.53** (25.35)	1.034 (21.26)		62.85* (33.28)
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	0.425 (0.703)	1.060** (0.420)	0.421 (0.447)		1.109* (0.614)


რობასტული სტანდარტული შეცდომა მოცემულია ფრჩხილებში

*** $p < 0.01$, ** $p < 0.05$, * $p < 0.1$


დიაგრამა 4. ძირითადი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განაწილება მუნიციპალიტეტებში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. მონაცემები თბილისისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ არის წარმოდგენილი.




სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები



სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის




საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე




საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა ერთ სულ მოსახლეზე

ფერის ინტენსივობა მიუთითებს ცვლადის უფრო მაღალ სიხშირეზე. მაგალითად, რუკაზე – „სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები“, მუქი ლურჯი შეფერილობა მიუთითებს სამთავრობო პარტიის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებული ხმების მაღალ წილზე.


დიაგრამა 5. ძირითადი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განაწილება მუნიციპალიტეტებში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. მონაცემები თბილისისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ არის წარმოდგენილი.




სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები



სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის



საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე



საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა ერთ სულ მოსახლეზე

ფერის ინტენსივობა მიუთითებს ცვლადის უფრო მაღალ სიხშირეზე. მაგალითად, რუკაზე – „სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები“, მუქი ლურჯი შეფერილობა მიუთითებს სამთავრობო პარტიის მიერ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებული ხმების მაღალ წილზე.

როდესაც შევადარებთ იმ ოლქებს, სადაც სამთავრობო პარტიამ ხმების ნახევარზე მეტი მიიღო იმ ოლქებთან შედარებით, სადაც მან ნაკლები ხმები მიიღო, როგორც წესი, აღმოვაჩინეთ, რომ ოლქებში, სადაც სამთავრობო პარტიამ ხმათა ნახევარზე მეტი მიიღო, უფრო მეტი თანხა იხარჯებოდა და საშუალოდ სოციალური შემწეობის უფრო მეტი ბენეფიციარი იყო. ყველა შემთხვევაში, განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო (ცხრილი 12).

ცხრილი 12. საარსებო შემწეობის ერთ სულ მოსახლეზე გაჩეული ხარჯები და საარსებო შემწეობის მიმღებთა ოდენობა (ერთ სულ მოსახლეზე) – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები.

საშუალო თვიური მაჩვენებლები	მმართველი პარტია > 50%	მმართველი პარტია < 50%	სტანდ. შეცდომა	სტანდარტული გადახრა	T-Test P-მნიშვნელობა
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გაანგარიშებით) ლარი	10.90 (n= 31)	7.44 (n=22)	1.24 0.78	6.93 4.40	0.02**
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გაანგარიშებით)	0.22 (n= 31)	0.16 (n=22)	0.02 0.02	0.12 0.09	0.01**
საარსებო შემწეობის მიმღები პირების წილი რეგისტრირებულებთან	41.7 (n= 31)	33.7 (n=22)	3.0 2.10	17.0 11.90	0.02**

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1


თუ მე-13 ცხრილს გადავხედავთ საარჩევნო კონკურენციის მაჩვენებლების კონტექსტში, მივიღებთ იმავე შედეგებს, რასაც 2020 წლის არჩევნების შემთხვევაში – მუნიციპალიტეტებმა, სადაც „გამარჯვება მარტივი იყო“ (ხმის განსხვავება 30%-ზე მეტი), საშუალოდ უფრო მეტი ფული მიიზიდა და მეტი ადამიანი იღებდა საარსებო შემწეობას (ცხრილი 13).

ცხრილი 13. საარსებო შემწეობის ერთ სულ მოსახლეზე გაჩეული ხარჯები და საარსებო შემწეობის მიმღებთა ოდენობა (ერთ სულ მოსახლეზე) – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. დაყოფილი შედეგები აჩვენებს განსხვავებებს პირველ და მეორე საუკეთესო პარტიას შორის.


	განსხვავება < 10%	განსხვავება 10%-20%	განსხვავება 20%- 30%	განსხვავება > 30%	სტანდარტული გადახრა	ANOVA P-მნიშვნელობა
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადანგარიშებით), ლარი	6.23 (n=8)	6.89 (n=21)	10.00 (n=18)	12.58 (n=16)	6.00	0.01**
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადანგარიშებით)	0.13 (n=8)	0.15 (n=21)	0.21 (n=18)	0.25 (n=16)	0.11	0.02**
საარსებო შემწეობის მიმღები პირების წილი რეგისტრირებულებთან	32.3% (n=8)	31.5% (n=21)	42.2% (n=18)	43.3% (n=16)	15.05	0.03**

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1


დიაგრამა 6. ძირითადი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განაწილება მუნიციპალიტეტებში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. მონაცემები თბილისისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ არის წარმოდგენილი.




სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები



სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ პარტიებს



შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე



საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა ერთ სულ მოსახლეზე

ფერის ინტენსივობა მიუთითებს ცვლადის უფრო მაღალ სიხშირეზე. მაგალითად, რუკაზე – „სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები“, მუქი ლურჯი შეფერილობა მიუთითებს სამთავრობო პარტიის მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებული ხმების მაღალ წილზე.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში სურათი ძირითადად იგივე რჩება, როგორც სხვა საპარლამენტო არჩევნების დროს, და არ იძლევა სტატისტიკურად მნიშვნელოვან შედეგებს (2012 წლის საპარლამენტო რეგრესიული მოდელებისთვის იხ. დანართი). თუმცა, 2012 წლის არჩევნებისთვის გამოყენებული რეგრესიული მოდელი მცირედით განსხვავდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საარსებო შემწეობის ცვლადებთან ერთად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რეგრესიულ მოდელს დაემატა ერთ სულ მოსახლეზე სოციალური პაკეტის მიმღებთა ცვლადი. OLS და რობასტული რეგრესიული მოდელების მიხედვით, სოციალური პაკეტის მიმღებთა მაღალი წილი ასოცირებული იყო სამთავრობო პარტიის (ამ შემთხვევაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის) ხმების მაღალ წილთან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, სხვა საინტერესო დაკვირვებები მაინც შეიძლება გამოვლინდეს. კერძოდ, იმ ოლქებში, სადაც სამთავრობო პარტია ამ ხმების ნახევარზე ნაკლები მიიღო, საშუალოდ უფრო მეტი ფინანსური რესურსის მობილიზება ხდებოდა და საარსებო შემწეობასაც უფრო მეტი ადამიანი იღებდა. ანალოგიურად, უფრო მაღალი კონკურენციის მქონე ოლქებმაც მიიზიდეს მეტი რესურსი (იხილეთ ცხრილი 14 და ცხრილი 15). რეგისტრირებულ პირებს შორის საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი განსაკუთრებით მაღალი იყო იმ ოლქებში, სადაც გამარჯვებულსა და მეორე ადგილზე გასულ პარტიას შორის სხვაობა ყველაზე მცირე იყო. 2012 წლის შედეგებით შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა მიმართება სამთავრობო პარტიის საქმიანობასა და სოციალური დანახარჯების პოლიტიკას შორის: მუნიციპალიტეტებმა, სადაც მმართველი პარტია მეტ პოლიტიკურ კონკურენციას აწყდებოდა, მიიღეს უფრო მეტი სოციალური ტრანსფერი. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ჰიპოთეზას, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც სამთავრობო პარტია მეტ გამონცევას ხვდებოდა, მეტი რესურსი გამოიყო. თუმცა, ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად საჭირო იქნება უფრო სიღრმისეული კვლევა.

ცხრილი 14. საარსებო შემწეობის ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ხარჯები და საარსებო შემწეობის მიმღებთა ოდენობა (ერთ სულ მოსახლეზე) – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები.

საშუალო თვიური მაჩვენებლები	მმართველი პარტია > 50%	მმართველი პარტია < 50%	სტანდ. შეცდომა	სტანდარტული გადახრა	T-Test P-მნიშვნელობა
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით), ლარი	4.27 (n= 24)	5.41 (n=39)	0.84 0.46	4.09 2.89	0.20
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	0.16 (n= 24)	0.20 (n=39)	0.03 0.02	0.15 0.11	0.20
საარსებო შემწეობის მიმღები პირების წილი რეგისტრირებულებთან	23.0% (n= 24)	31.5% (n=39)	3.03 1.80	14.85 11.23	0.01**

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ცხრილი 15. საარსებო შემწეობის ერთ სულ მოსახლეზე გაჩეული ხარჯები და საარსებო შემწეობის მიმღებთა ოდენობა (ერთ სულ მოსახლეზე) – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. დაყოფილი შედეგები აჩვენებს განსხვავებებს პირველ და მეორე საუკეთესო პარტიას შორის.

	განსხვავება < 10%	განსხვავება 10%-20%	განსხვავება 20%- 30%	განსხვავება > 30%	სტანდარტული გადახრა	ANOVA P-მნიშვნელობა
საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით) ლარი	6.08 (n=17)	5.99 (n=17)	4.11 (n=11)	3.48 (n=18)	3.41	0.06*
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	0.22 (n=17)	0.22 (n=17)	0.15 (n=11)	0.13 (n=18)	0.12	0.05*
საარსებო შემწეობის მიმღები პირების წილი რეგისტრირებულებთან	33.5% (n=17)	33.1% (n=17)	25.9% (n=11)	20.2% (n=18)	13.27	0.00**

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

რომ შევაჯამოთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, რეგრესიული მოდელების უმეტესობა არ აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმების წილსა და საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობას შორის, გარდა რობასტული რეგრესიის მოდელებისა, რომლებიც აჩვენებს კავშირს მეტ ბენეფიციარსა და მეტ მიღებულ ხმას შორის. ეს ტენდენცია შეინიშნება შერჩეულ კონკურენტულ ოლქებშიც, თუმცა, გარკვეულ დონეზე. რეგრესიული მოდელების გარდა, შერჩეული ცვლადების საშუალო მაჩვენებლების შედარებამ აჩვენა, რომ იმ ოლქებში, სადაც სამთავრობო პარტია კონკურენციისას მნიშვნელოვნად მარცხდება, საარსებო შემწეობაზე გამოყოფილი ხარჯები უფრო მეტია. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა 2016 წლის არჩევნების შემთხვევაშიც, სადაც დაფიქსირდა კავშირი სამთავრობო პარტიის მიერ მიღებულ ხმებსა და საარსებო შემწეობის ბენეფიციარების რაოდენობას შორის. 2012 წლის არჩევნების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ არ იქნა აღმოჩენილი მნიშვნელოვანი სტატისტიკური კავშირი, აღმოჩნდა, რომ ოლქები, სადაც სამთავრობო პარტია ნაკლებ ხმებს იღებდა ან მაღალი კონკურენცია იყო, უფრო მეტი სოციალური ტრანსფერი გამოიყოფოდა და ერთ სულ მოსახლეზე საარსებო შემწეობის მიმღები მეტი ბენეფიციარი იყო. ეს დაკვირვებები, რომლებიც ეწინააღმდეგება 2020 და 2016 წლის არჩევნების შედეგებს, გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ არჩევნების სახეობამ – სამთავრობო პარტიის ხელისუფლებაში დარჩენამ თუ მისმა დამარცხებამ – შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ტიპის კავშირი არჩევნების შედეგებსა და საარსებო შემწეობის დაფინანსების ხარჯებს შორის. თუმცა, ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად საჭიროა უფრო ღრმა შესწავლა და შესაბამისი შემთხვევების დეტალური განხილვა.

დამატებით, ერთი თანმიმდევრული მახასიათებელი, რომელიც ყველა არჩევნების შემთხვევაში შეიმჩნევა, არის ის, რომ მოსახლეობაში ეთნიკური უმცირესობების უფრო მაღალი წილის მქონე რეგიონები (სამხრეთ საქართველოს მუნიციპალიტეტები) ძირითადად სამთავრობო პარტიებს აძლევენ ხმას. თუმცა, ამ ტერიტორიებზე ერთ სულ მოსახლეზე ნაკლები ფულადი ტრანსფერი გამოიყოფა და არსებობს საარსებო შემწეობის მიმღებთა უფრო დაბალი საშუალო წილი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით (დიაგრამები 4, 5 და 6). საარჩევნო მონაცემების ანალიზისას, ეს მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ გამონაკლისებს, რომლებიც სოციალური ხარჯების საერთო ეფექტს ამცირებენ. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია დასკვნების ინტერპრეტაციისას.

3.2.3. ადგილობრივი არჩევნები

არჩევნების შედეგების ანალიზისას მნიშვნელოვანია არჩევნების ტიპების დიფერენცირება, რადგან სამთავრობო სტრატეგიები, მოტივაცია და ინსტრუმენტები შეიძლება განსხვავდებოდეს. საპარლამენტო არჩევნებს ხშირად უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რაც აიძულებს მთავრობას, პოტენციურად მეტი რესურსი გამოიყენოს, მაგალითად, სოციალური ხარჯების მანიპულირებით, რათა შექმნას უთანასწორო პირობები. ამის საპირისპიროდ, მუნიციპალური არჩევნების შემთხვევაში, საარსებო შემწეობის განაწილების ცენტრალიზებული ბუნება ზღუდავს ადგილობრივი პოლიტიკოსების გავლენას სოციალური დაფინანსების განაწილებაზე. თუმცა, თვით მუნიციპალური არჩევნებიც კი შეიძლება გახდეს ძალზე სადაო და მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით, ინტენსიური პოლიტიკური კონკურენციის დროს, რაც იკვეთება 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მაგალითის შემთხვევაში.


ცხრილი 16. 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების რეგრესიის შედეგები.

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)
ცვლადი	სტანდარტული უმცირეს კვადრატა ნრფივი რეგრესია (OLS)	რობასტული რეგრესია (MM)	რობასტული რეგრესია (S)	რობასტული რეგრესია (scale)	კვანტილური რეგრესია 0.5 - 8ე
	დამოკიდებული ცვლადი: სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი				
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-10.90 (12.09)	3.723 (10.24)	-4.618 (18.54)		-7.837 (15.00)
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	-0.160 (0.194)	0.0309 (0.157)	-0.0482 (0.221)		-0.135 (0.228)
	დამოკიდებული ცვლადი: სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის				
საარსებო შემწეობის მიმღები ინდივიდების რაოდენობა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	2.923 (22.46)	37.83*** (13.61)	31.53*** (11.38)		35.64** (14.13)
საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა (ერთ სულზე გადაანგარიშებით)	0.0150 (0.333)	0.480*** (0.171)	0.339** (0.136)		0.508** (0.251)


რობასტული სტანდარტული შეცდომა მოცემულია ფრჩხილებში
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან მიმართებით, რეგრესიის მოდელები, როგორც წესი, ვერ აჩვენებს მნიშვნელოვან კავშირს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობას ან საარსებო შემწეობის ფულადი ტრანსფერების რაოდენობასა და საარჩევნო შედეგებს შორის. თუმცა, როდესაც საქმე შეეხება კონკურენციის განზომილებას (პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის განსხვავებას), სამთავრობო პარტიასა და ოპოზიციას შორის უფრო მცირე სხვაობა ასოცირდება უფრო მაღალ ხარჯებთან და საარსებო შემწეობის მიმღებთა უფრო მაღალ წილთან (ცხრილი 16).


დიაგრამა 7. ძირითადი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განაწილება მუნიციპალიტეტებში, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. მონაცემები თბილისისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ არის წარმოდგენილი.




სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები



სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის




საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე




საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა ერთ სულ მოსახლეზე

ფერის ინტენსივობა მიუთითებს ცვლადის უფრო მაღალ სიხშირეზე. მაგალითად, რუკაზე – „სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები“, მუქი ლურჯი შეფერილობა მიუთითებს სამთავრობო პარტიის მიერ 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს მიღებული ხმების მაღალ წილზე.


დიაგრამა 8. ძირითადი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განაწილება მუნიციპალიტეტებში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. მონაცემები თბილისისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ არის წარმოდგენილი.




სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები



სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის



საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე



საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხა ერთ სულ მოსახლეზე

ფერის ინტენსივობა მიუთითებს ცვლადის უფრო მაღალ სიხშირეზე. მაგალითად, რუკაზე – „სამთავრობო პარტიის მიერ მიღებული ხმები“, მექი ლურჯი შეფერილობა მიუთითებს სამთავრობო პარტიის მიერ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს მიღებული ხმების მაღალ წილზე.

თუმცა, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე საარსებო შემწეობის საშუალო მაჩვენებლების ან საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ანალიზი ხდება, პოლიტიკური კონკურენციის სხვადასხვა დონე ან არჩევნებში გამარჯვების სიმარტივე არ აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს (ცხრილები 17 და 18).

